F 2746/2 №14760

კავკასიის კავშირი რუსეთის სოციალდემოკრატიული მუშათა პარტიისა.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

პროლეტარიატის ბრძოლა

კავკასიის კავშირის ორგანო რ. ს.-დ. მ. პ.

№ 10. 15 (28) ივლისი 1905 წ. № 10.

16345 F14760

540

რევოლიუციონური პროლეტარიატის დემოკრატიული მიზანი.

სოციალდემოკრატიას, რომელიც მუშათა მოძრაობის შეგნებული გამომხატველია, თავის მიზნათ დაუსახავს ყველა მშრომელთა დახსნა ყოველივე ტანჯვისა და ექსპლოატაციისაგან. ამ მიზნის განხორციელება, წარმოების საშუალებათა საზოგადო კუთვნილებათ გადაქცევა და სოციალისტური საზოგადოების დამყარება—საწარმოვო ძალთა ერთობ დიდ განვითარებას და მუშათა კლასის მჭიდროთ შეკავშირებას და ყოვლად შეერთებას მოითხოვს: საწარმოვო ძალთა განვითარება თანამედროვე ბურჟუაზიულ საზოგადოებაში, ფართო, აშკარა კლასობრივი ბრძოლა, პოლიტიკური განვითარება, პროლეტარიატის მასის აღზრდა და შეკავშირება — ყველა ეს წარმოუდგენელია, თუ რომ პოლიტიკური თავისუფლება არ განხორციელდა. სწორეთ ამ მოსაზრებით ხელმძღვანელობს შეგნებული პროლეტარიატი, როდესაც თავის უახლოეს მიზნათ სრულ პოლიტიკურ თავისუფლებისათვის ბრძოლას და დემოკრატიულ რევოლიუციას ისახავს.

მარტო პროლეტარიატი როდი ემსახურება ამ ნაირ მიზანს. პოლიტიკური თავისუფლება ბურჟუაზიისაც სჭირია. შეძლებულ კლასთა განათლებულმა წარმომადგენლებმა დიდი ხანია აიფრიალეს თავისუფლების დროშა; რევოლიუციონური ინტელიგენცია, რომლის უმრავლესობა ზემოხსენებულ კლასთა ღვიძლი შვილია, გმირული თავგანწირულებით იბრძოდა თავისუფლებისათვის. მარა მთელ ბურჟუაზიას, საერთოთ, როდი შეუძლია თვითმპყრობელობასთან მედგრათ შებრძოლება. ამ ბრძოლაში მას დიდათ აფიქრებს და აშინებს თავის საკუთრების დაკარგვა, რომელიც აკავშირებს მას თანამედროვე საზოგადოებასთან. მუშების მეტათ რევოლიუციონური მოქმედება ძალიან აფრთხობს მას, რადგან იცის, რომ მუშები არასოდეს არ შეჩერდებიან დემოკრატიულ რევოლიუციაზე და მუდამ სოციალისტურ წყობილების დასამყარებლათ იბრძოლებენ. მას ეშინია ჩინოვნიკობასთან კავშირის შეწყვეტისა, ვერ გაუბედავს ბიუროკრატიის მომლურებზე და მას წინააღმდეგ ამხედრებას, რადგან შეძლებულ კლასთა და ბიუროკრატიის ინტერესები მჭიდროთ არის ერთმანეთზე გადაბმული. ამიტომ ბურჟუაზიის ბრძოლას მუდამ ემჩნევა სიმხდალე, გაუბედაობა და სანახევროთ მოქმედება. პროლეტარიატის ერთი მოვალეობათაგანია ჩაითრიოს ხოლმე ბურჟუაზია რევოლიუციონურ ბრძოლაში, სრული დემოკრატიული განახლების ლოზუნგები გამოაცხადოს ხალხის წინაშე და თამამათ შეუდგეს ამ ლოზუნგთა განხორციელების საქმეს; ერთი სიტყვით, ხალხის თავისუფლებისათვის ბრძოლაში პროლეტარიატმა ავანგარდის, მოწინავე რაზმის ალაგი უნდა დაიჭიროს.

რუსეთის სოციალდემოკრატებს არა ერთხელ ჰქონიათ ბრძოლა ბურჟუაზიულ-ლიბერალიზმთან. მაგალითისათვის გავიხსენოთ, როგორ დაიწყო თავისი მოღვაწეობა ცენზორისაგან ახლათ განთავისუფლებულმა სტრუვემ, როგორი ბრძოლა ამჯობინა რუსეთის „განთავისუფლებისათვის“? ამ თავისუფალ მოღვაწეობას ის ვიტტეს „ზაპისკების“ წინასიტყვაობით შეუდგა, სადაც მან არც აცივა, არც აცხელა და ზედ-გამოჭრილი „შიპოვისებური“ ლოზუნგი გამოაცხადა: „უფლებები და ძლიერი ერობათ“?! სოციალდემოკრატია ამტკიცებდა, თუ რამდენათ ჩამორჩენილი, უგუნური და რეაქციონური იყო ეს ლოზუნგი; იგი მოითხოვდა გარკვეულს და სრულ დემოკრატიულ პროგრამას და თითონ სწორეთ ასეთ პროგრამას აცხადებდა, რადგან ასეთი პროგრამა მის პარტიულ პროგრამის ნაწილი იყო. სოციალდემოკრატია ებრძოდა იმათ, ვინც პარტიაში იყო და ვიწროთ ესმოდა ეს პროგრამა, ე. ი. ეგრედ წოდებულ „ეკონომისტებს“, რომელნიც ამცირებდენ ზემოხსენებულ მიზნის მნიშვნელობას, „ხაზეინებთან და მთავრობასთან“ ეკონომიურ ბრძოლას ქადაგებდენ, ჯერ უფლებების მოპოება უნდოდათ, შემდეგ პოლიტიკური აგიტაციის დაწყება და დოლოლოს დონ და-თან (სტადიების თეორია) პოლიტიკურ ბრძოლაზე გადასვლა.

ახლა პოლიტიკურმა ბრძოლამ ფართოთ გაიდგა ფეხი, რევოლიუცია ცეცხლივით მოედო მთელ სახელმწიფოს. ყველა მდარე ლიბერალებიც კი „უკიდურესები“ შეიქნენ, და შეიძლება ვინმემ იფიქროს, რომ იმ ახლო წარსულის მოგონება, რომელიც ზევით მოვიყვანეთ, ახლანდელ აბობოქრებულ და მღელვარე აწმყოსთან არაფერ შუაშია. მაგრამ ეს

მხოლოთ პირველათ შეიძლება იფიქროს ვინმემ. რასაკვირველია, ისეთი ლოზუნგები, როგორიცაა დამფუძნებელი კრება საყოველთაო, პირდაპირი, ფარული და თანასწორი არჩევნების უფლება, (ეს ლოზუნგები დიდი ხანია ყველაზე უწინ სოც.-დემ. გამოაცხადა თავის პროგრამაში), ძალიან გავრცელდა, არალეგალურმა „ოსვობოჟდენიემაც“ მიიღო, „განთავისუფლების კავშირის“ პროგრამაშიც გამოცხადდა, „ზემცების“ „ლოზუნგებათაც“ შეიქნა და ლეგალური ლიტერატურაც არა ერთხელ და ორხელ აღიპარაკებულა მათ შესახებ. ამ ბოლო დროს აშკარა შეიქნა, რომ რუსეთის ბურჟუაზიული დემოკრატია ძალიან წინ წავიდა. ბურჟუაზია მოქმედობს ცხოვრების მსვლელობის მიხედვით, თავს ანებებს „პრიმიტიულ“ ლოზუნგებს (მაგ. შიპოვის ლოზუნგი: უფლებები და ძლიერი ერობა) და ასე ასკინკილით მისდევს კუდში რევოლიუციას. მარა საქმეც ის არის რომ ბურჟუაზია მხოლოდ მისჩანჩალებს რევოლიუციას კუდში. ბურჟუაზიის ჩვეულებრივი წინააღმდეგობა, რომელიც სიტყვასა და საქმეს შორის სუფევდა, ადგილს უთმობს ახალ წინააღმდეგობას, რადგან რევოლიუციის ზრდა თან-და-თან უფრო და უფრო მეტს მოითხოვს დემოკრატიისაგან. ბურჟუაზიული დემოკრატია-კი, თუმცა უმატებს, აძლიერებს თავის ლოზუნგებს, მარა თითონ მუდამ უკან რჩება ცხოვრებას, ვეღარ სწვდება თავის ლოზუნგთა სიძლიერეს, ვეღარ უძლებს რევოლიუციის ნამდვილ ბრძოლას, ნამდვილი თავისუფლების მოპოებისათვის.

აიღეთ ეს ყველას მიერ მოწონებული და გაზეპირებული ლოზუნგი, დამფუძნებელი კრება,—საყოველთაო, თანასწორი, ფარული და პირდაპირი არჩევნების უფლებით. დააკმაყოფილებს ეს ლოზუნგი ნამდვილ დემოკრატიზმს? შეეფერება ის ეხლანდელ რევოლიუციონურ მომენტს? ორივე ამ საკითხს ერთი და იგივე პასუხი მოსდევს: არა. აიღეთ ჩვენი პარტიის პროგრამა, გადახედეთ გულ-დასმით და თქვენ დარწმუნდებით ამაში. ჩვენ პროგრამაშიაც არის მოყვანილი დემოკრატიულ მოთხოვნათა სათავეში საყოველთაო (всенародное) დამფუძნებელი კრება. მარა ეს ლოზუნგი ჩვენს პროგრამაში ობლათ როდია გამოცხადებული; ამ ლოზუნგთან ერთათ მოყვანილია ისეთი განმარტებანი და დამატებანი, რომელთა წყალობით სრულიად ირკვევა საკითხი და რაც უნდა მდარე დემოკრატი იყოს კაცი, თავისებურათ მაინც ვერ ახსნის ჩვენ ლოზუნგს. ეს ლოზუნგი ჩვენ პროგრამაში მოყვანილია შემდეგ ლოზუნგებთან ერთად: 1) მეფის თვითმპყრობელობის დამხობა. 2) თვითმპყრობელობის მაგიერ დემოკრატიული რესპუბლიკის დაარსება. 3) დემოკრატიულ კონსტიტუციის მიერ უზრუნველ ყოფილი ხალხის თვითმპყრობელობა, ე. ი. სახელმწიფოს მთელი უმთავრესი ძალის ხალხის წარმომადგენელთაგან შემდგარ კანონმდებელ კრების ხელში მოქცევა იმ პირობით, რომ ეს კრება ერთ პალატას შეადგენდეს. განა საეჭვოა, რომ ამ ლოზუნგთა მიღება ყოველ ნამდვილი დემოკრატისთვის საჭიროა? თვით სიტყვა „დემოკრატის“ გრამატიკული და პოლიტიკური მნიშვნელობაც ერთი და იგივეა: „დემოკრატ“ ნიშნავს ხალხის თვითმპყრობელობის მომხრეს. მაშასადამე, სასაცილო იქნებოდა დემოკრატიზმზე ლაპარაკი და ამასთანავე რომელიმე ამ ლოზუნგთაგანის უარყოფა. მარა ბურჟუაზიის ძირითადი წინააღმდეგობა, რომელიც გამოიხატება იმაში რომ მას, ერთი მხრით, კერძო საკუთრების შენარჩუნება უნდა და მეორე მხრით, თავისუფლების მოპოებას ლამობს, ეს ძირითადი წინააღმდეგობა ისეთი ღრმაა, რომ ლიბერალური ბურჟუაზიის წარმომადგენელი ძალა-უნებურათ ვარდება ამ ნაირ სასაცილო მდგომარეობაში. როგორც ყველამ უწყის რუსეთში გასაშტერებელი სისწრაფით იფურჩქნება ფართო ლიბერალური პარტია, რომელსაც ეკუთნის განთავისუფლების კავშირი, ბევრისაგან ბევრი „ზემცები“ და ისეთი გაზეთები, როგორიცაა „ნაშა ჟიზნი“, „ნაშა დნი“, „სინ ოტეჩესტვა“, „რუსკია ვედომოსტი“ და სხვა ამგვარი. ამ ლიბერალურ-ბურჟუაზიულ პარტიას ძლიერ ასიამოვნებს, როცა მას „კონსტიტუციონალურ-დემოკრატიულ პარტიას უწოდებენ. ნამდვილათ-კი, როგორც „ოსვობოჟდენიეს“ პროგრამიდან სჩანს, ეს პარტია—მონარქიული პარტიაა. მას სრულიადაც არ უნდა რესპუბლიკა; ის არ არის ერთი პალატის მომხრე და ზემო პალატის არჩევნებისათვის მას უნდა შემოიღოს არა პირდაპირი და ფაქტიურათ არა საყოველთაო კენჭის ყრა (цензъ по осѣдлости). მას სრულიადაც არ უნდა, რომ სახელმწიფოს მართვა-გამგეობის საქმე ხალხს გადაეცეს (თუმცა სხვის საჩვენებლათ მას ძალიან უყვარს სახელმწიფო ძალის ხალხის ხელში გადასვლაზე ლაპარაკი). მას არ უნდა თვითმპყრობელობის დამხობა, მას უნდა მხოლოდ გაუყოს მართვა-გამგეობა: 1) მონარქიას, 2) ზემო პალატას, (სადაც უმრავლესობა მემამულეები და კაპიტალისტები იქნებიან) და 3) ქვემო პალატას; ამ სამში მხოლოდ ქვემო პალატაა ნამდვილ დემოკრატიულ საფუძველზე აგებული.

ამგვარათ, ახლა ჩვენთვის ცხადია ის ფაქტი, რომ ჩვენი დემოკრატიული ბურჟუაზიის ყველაზე უფრო მოწინავე, განათლებული და კაპიტალისაგან ყველაზე ნაკლებ დამოკიდებული წარმომადგენლებიც-კი რევოლიუციას კუდში მისჩანჩალებენ. ამ დემოკრატიულ პარტიას ეშინია ხალხის თვითმპყრობელობის. ის თუმცა იმეორებს ჩვენს ლოზუნგს საყოველთაო დამფუძნებელ კრების შესახებ, მარა ნამდვილათ სრულიად ამახინჯებს ამ ლოზუნგის აზრს და შინაარს. ამ ლოზუნგის ხმარებით, ანუ უფრო სწორეთ რომ ვთქვათ—ამ ლოზუნგის ბოროტათ ხმარებით ის თვალს უხვევს, ატყუილებს ხალხს.

რა არის საყოველთაო დამფუძნებელი კრება? ეს ისეთი კრებაა, რომელიც, მართლაც, რომ ხალხის ნებას გამოხატავს. ამისათვის საჭიროა საყოველთაო და სხვ. არჩევნების უფლება და არჩევნების მოსამზადებელ წინასწარ აგიტაციის თავისუფლების უზრუნველ ყოფა. ეს ისეთი კრებაა, რომელსაც, მართლაც, რომ აქვს ძალა და შეძლება „დამფუძნოს“ სახელმწიფოში ისეთი წყობილება, რომელიც უზრუნველ ხდიდეს ხალხის თვითმპყრობელობას. სრულიად აშკარაა, რომ ამ ორ პირობათა გარეშე კრება ვერ იქნება ვერც სავსებით საყოველთაო, ვერც

აი ამ ვითომდა საზოგადო მეურნეობის წარსა-მართავად, რომელსაც მხოლოდ სახელი ერქვა „საზოგადო“, განაპირა მხარეების მცხოვრებნი უნიჭოდ იცნეს. მათის აზრათ, განაპირა მხარენი ჯერ ვერ მომწიფებულიყვნენ იმდენათ! ამგვარ მხარეთა რიცხვში პირველი ადგილი კავკასიას ეკუთვნის.

ასე იყო მაშინ!... ახლა-კი?!. ახლა-კი კავკასია (ან ზოგიერთი მისი ნაწილი მაინც) „სრულიად მომწიფდა საერობო მეურნეობის შემოღებისათვის (თითქმის!) იმ სახით, როგორც დანარჩენ რუსეთში იქნება დაწესებულიო“! რით აიხსნება, რომ მთავრობამ ასე ახირებულათ შესცვალა თავისი შეხედულება? რატომ ის, რაც რამდენსამე წლის წინეთ შეუძლებლად იყო ცნობილი, ეხლა არამც თუ შესაძლებლად მიაჩნიათ, არამედ თითქმის დაუყონებლივ ასასრულებლათ. ამ კითხვაზე პასუხის მიცემა ძნელი არ არის. რამდენიმე წლის წინათ მთავრობას მაგრად ედგა ფეხი. რევოლიუციაზე, თვითმპყრობელობის დანგრევაზე მაშინ შეიძლებოდა ლაპარაკი, მარა, მხოლოდ, როგორც მომავალ შორეულ ამბავზე. რევოლიუციონური მოძრაობა მხოლოდ თან-და-თან ძირს უთხრიდა „მეფობას“ და, დაბოლოს, კიდეც მიიყვანა ის იმ გაკოტრებამდე, რომელიც, ვითარცა ავი სული, იაპონიასთან ომის დაწყებისათანავე, რომანოვების გვარეულობის ოჯახს წინ დაუდგა... თვითმპყრობელობისათვის ეხლა აუცილებლად საჭიროა—გაიმაგროს პოზიცია არამც თუ ცენტრში, არამედ განაპირა მხარეებშიაც, სადაც მან თავისი მხეცური ცარცვა-ვლეჯის პოლიტიკით სრულიად გამოიცალა ფეხ-ქვეშ ნიადაგი. მისთვის აუცილებელია -შეაჩეროს რევოლიუციის ნიაღვარი, რომელიც მას საძირკვლების გამოცლას ემუქრება, —და ბურჟუაზიის ძალთა შემწეობით თვისი პოზიცია შეირჩინოს.

აი კიდეც იმიტომ შემოაქვთ ერობა კავკასიაში,— იმ ძით მთავრობამ ბურჟუაზიის სიმპატია მოიპოვოს.

მეფის მოადგილემაც არ დაიშურა თავისი ძალღონე, რომ მის-მიერ განზრახულ რეფორმებისათვის საჭირო ელფერი მიეცა. უწინარეს ყოვლისა უნდა დაარსდეს სამაზრო და საგუბერნიო საბჭო, სადაც მცხოვრებთ შეეძლოთ თავიანთი აზრი რეფორმების შესახებ წარმოსთქვან. თუ რაგვარი აზრი იქნება ეს,—აშკარაა იქიდანაც, რომ იმ ადგილებში, სადაც გლეხ-კაცობამ მეტი შეგნება გამოიჩინა, მისი რიცხვი ნაკლებია მიწისმფლობელთა და ბურჟუაზიის წარმომადგენლებზე. ეს ასე უნდა იყოს იმიტომ, რომ, როგორც უსირცხვილოთ შენიშნა მეფის მოადგილის საბჭოს წინასწარ გამართულ რჩევაზე კავკასიის პოლიციის შეფმა შირინკინმა, — „რომ საბჭოებში კერძო მემამულეთა წარმომადგენლობა არ შესუსტდესო“. მარა ეს კიდევ ცოტაა! სამაზრო საბჭო ხომ პირველი საფეხურია. მას საგუბერნიო საბჭო მოყვება, სადაც, რასაკვირველია, არავითარი „ამბოხება“ ვერ შებრძანდება; ეს კი ხომ თვითმპყრობელობისათვის მოსაწონ უქვეშევრდომილეს გარდაწყვეტილებას მიიღებს, რომ კავკასიისათვის აუცილებელია დაუყოვნებლივ ერობის შემოღება. თუ ყოველსავე ამას ჩვენ დავსძენთ, იმასაც, რომ მცხოვრებთა აუარებელი ნაწილი, სახელდობრ მუშათა კლასი უფლებას მოკლებულია,—მიიღოს მონაწილეობა საბჭოში,—მაშინ ჩვენ წინ სავსებით გადიშლება სურათი იმისა, თუ, ამ ახალი პროექტით, რაგვარათ მოხდება მცხოვრებთა აზრის გაგება. აი, ამგვარათ სურს თვითმპყრობელობას გაიგოს საზოგადო აზრი! რაგვარი აზრი იქნება ეს, —ამის წინდაწინ მიხვედრა ძნელი არ არის.

რევოლიუციონურმა პროლეტარიატმა კარგა ხანია რაც შეიგნო მეფის თვითმპყრობელობის საზიზღარი პოლიტიკა! ის არ დააყოვნებს ღირსეულათ დააფასოს ეს ახალი ნაბიჯი თვითმპყრობელობისა—გარყვნას (პოლიტიკურათ, რასაკვირველია) ხალხის უმრავლესობა და მისი ყურადღება რევოლიუციონურ ბრძოლას მოაშოროს.

ჩვენ ვემყარებით-რა პარტიის მესამე კრების გარდაწყვეტილებას, ვურჩევთ ყველა პარტიულ ორგანიზაციებს:

ა). გამოაშკარავონ რეაქციონური მიზანი მთავრობის დათმობათა და—პროპაგანდასა და აგიტაციაში მიაქციონ ყურადღება, ერთი მხრივ, იმას, რომ ყოველივე დათმობა მთავრობისა ძალდატანებითია, და, მეორე მხრივ, იმას, რომ თვითმპყრობელობისათვის ყოველად მეუძლებელია შემოიღოს ისეთი რეფორმები, რომელიც პროლეტარიატს დააკმაყოფილებს;

ბ). ისარგებლონ არჩევნების წინა დროით და აგიტაციაში აუხსნან მუშებს (და გლეხკაცობას,— „პროლ. ბრძ.“ რედ.) მთავრობის ამგვარი ზომების აზრი და დაუმტკიცონ პროლეტარიატს (და გლეხკაცობას,—„პროლ. ბრძოლ.“ რედ.), რომ მათთვის აუცილებელია რევოლიუციონური გზით დამფუძნებელი კრების მოწვევა საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარული კენჭის ყრით საარჩევნო უფლების შემწეობით“... და სხ.*).

და გ) ფართე აგიტაციით დაარწმუნონ გლეხ-კაცობა, რომ სოფლის ყრილობებმა ბოიკოტი გამოუცხადონ სიცრუე-სიყალბის პოლიტიკას თვითმპყრობელ მეფის მოადგილისა კავკასიაში და არ გაუგზავნონ თავიანთი წარმომადგენლები საბჭოში.

შეიარაღებული აჯანყება და ჩვენი ტაქტიკა.

რევოლიუციონურმა მოძრაობამ „დღეს უკვე აუცილებელი გახადა შეიარაღებული აჯანყება“—ეს აზრი ჩვენი პარტიის მესამე კრების-მიერ გამოთქმული თანდათან მართლდება. რევოლიუციის ალი უფრო და უფრო ძლიერდება,—და ხან აქ, ხან იქ ადგილობრივ აჯანყებას იწვევს, ლოძში სამი დღე ბარიკადები და ქუჩებზე ბრძოლა, ივანოვო-ვოზნესენსკში ბევრი ათი-ათასი მუშების გაფიცვები აუცილებელი სისხლის ღვრით ჯართან შეტაკების დროს, ოდესაში აჯანყება, შავი ზღვის ფლოტსა და ლიბავის ფლოტის მოსამსახურეთა „ბუნტი“, ტფილისის ერთ „კვირა“—ყოველივე ეს მრისხანე წინასწარი ნიშნებია მოახლოვებული ჭექა-ქუხილისა. ის მოდის, შეუჩერებლივ მოდის, და დღეს იქნება თუ ხვალ გადმოხეთქს რუსეთზე ყოველად ძლიერ გამწმენდ ნიაღვრათ, რომელიც ყოველივე დაძველებულს,

*) ნახე „ცნობა,“—რეზოლიუცია იმის შესახებ, თუ როგორ უნდა ვიმოქმედოთ აჯანყების წინა დროს მთავრობის ტაქტიკის წინააღმდეგ.

მომპალს წალეკავს, რუსეთის ხალხს მისს მრავალ-საუკუნეების სირცხვილს, — თვითმპყრობელობათ წოდებულს — მოსწმენდს. / მეფობის უკანასკნელი სულთ-მობრძაობა სხვა-და-სხვა რეპრესსიების გაძლიერებით, ნახევარი სახელმწიფოს სამხედრო მდგომარეობაში გამოცხადებით, სახრჩობელების დახშირებით და, ამასთანავე ერთად მაცდური სიტყვები ლიბერალებისადმი და ცრუ აღთქმანი რეფორმების შემოღებისა—მას ისტორიულ ბედისწერისაგან ვერ იხსნის: თვითმპყრობელობის დღენი დათვლილია, ჭექა-ქუხილი აუცილებელია, ახალი წეს-წყობილება უკვე შემოდის, შემოდის და წინ უძღვის მას სალამი მთელი ხალხისა, რომელიც მისგან განახლებასა და აღდგომას მოელის.

რა ახალ საკითხს უყენებს წინ ჩვენს პარტიას ეს მოახლოვებული ჭექა-ქუხილი? რაგვარათ უნდა შევუფეროთ ჩვენი ორგანიზაცია და ტაქტიკა ცხოვრების ახალ მოთხოვნილებათ, რომ უფრო მეტი აქტიური და შეერთებული მონაწილეობა მივიღოთ აჯანყებაში, რომელიც ერთად-ერთი აუცილებელი დასაწყისია რევოლიუციისა? რომ მეთაურობა გაუწიოთ აჯანყებას, ჩვენ, როგორც მოწინავე რაზმმა იმ კლასისა, რომელიც არამც თუ მხოლოდ მოწინავეა, არამედ რევოლიუციის მთავარი მომქმედია. სპეციალური იარაღით (аппаратами) უნდა აღვიჭურვოთ, თუ აწ არსებული პარტიის მექანიზმი უკვე საკმაოა?

რამდენიმე თვეა, რაც ეს კითხვები პარტიის წინ დგას და დაუყოვნებლივ გადაწყვეტას თხოულობს. იმ კაცებისათვის, ვინც „სტიქიის“ წინაშე მუხლს იდრეკს, ვინც პარტიის მიზანს ცხოვრების თანდათან უბრალო მიყოლამდე აქვეითებს, უკან მისჩანჩალებს და არა მის წინ დგას, როგორც ეს შეგნებულ მოწინავე რაზმს შეფერის,—ეს კითხვები არ არსებობს. ისინი ამბობენ: აჯანყება სტიქიურია, მისი მოწყობა-მომზადება შეუძლებელია; ყოველივე წინდაწინ შემუშავებული გეგმა (პლანი) მოქმედებისა უტოპიაა (ოცნებაა) (ისინი ხომ ყოველგვარი „პლანის“ წინააღმდეგნი არიან,—აქ ხომ „შეგნებაა“, და არა „სტიქიური მოვლენა“!) ტყუილ უბრალოთ ძალღონის დაკარგვაა; ცხოვრებას თავისი გამოუცნობელი გზა-კვალი აქვს, ყველა ჩვენ პროექტებს ეს გააქარწყლებს. ამიტომ ჩვენ უნდა დავკმაყოფილდეთ პროპაგანდითა და აგიტაციით აჯანყების იდეისა, მასსის „თვითშეიარაღების“ იდეისა; ჩვენ მხოლოდ „პოლიტიკური ხელმძღვანელობა“ გავსწიოთ და „ტეხნიკურაა“-კი აჯანყებულ ხალხს ხელმძღვანელობა იმან გაუწიოს, ვისაც უნდა.

მარა, აქ „კუდა-ძუა პოლიტიკის მიმდევართ“ მოწინააღმდეგენი უპასუხებენ: ამგვარ ხელმძღვანელობას ჩვენ ხომ მუდამ ვსწევდით აქამდეც! განა თავის-თავათ ცხადი არ არის რომ აუცილებლათ საჭიროა ფართე აგიტაცია და პროპაგანდა, პროლეტარიატის პოლიტიკურათ ხელმძღვანელობა. აქ ასეთი ზოგადი მოსაზრებით დაკმაყოფილება ნიშნავს ან იმას, რომ ჩვენ ცხოვრების-მერ პირდაპირ დასმულ კითხვაზე პასუხს გავურბივართ, ან და სრულ უნიჭობას ვიჩენთ იმაში, რომ საშინელ სისწრაფით მოზარდ რევოლიუციონურ ბრძოლის მოთხოვნილებათ შევუგუოთ ჩვენი ტაქტიკა. რასაკვირველია, ჩვენ ახლა უნდა გავაათკეცოთ პოლიტიკური აგიტაცია, უნდა ვეცადოთ ჩვენს გავლენას დაუმორჩილოთ არამც თუ პროლეტარიატი, არამედ „ხალხის“ ის მრავალი ნაწილები, რომელნიც რევოლიუციას თანდათან ემხრობიან, ჩვენ უნდა ვეცადოთ მცხოვრებთა ყველა კლასსებში აჯანყების აუცილებლობის იდეიას სახელი მოუპოვოთ; მარა ჩვენ უნდა გავაკეთოთ არამც თუ ეს ერთი მარტო! რომ პროლეტარიატმა თავისი კლასობრივი ბრძოლის მიზნის მისაღწევათ მომავალი რევოლიუციით ისარგებლოს, რომ ისეთი დემოკრატიული წეს-წყობილება დაფუძნდეს, რომელიც შემდეგ ბრძოლას სოციალიზმისათვის ყველაზედ უფრო უზრუნველყოფდეს,—ამისათვის საჭიროა არამც თუ მარტო ის, რომ ბრძოლის მთავარ შუაგულში პროლეტარიატი მოყვეს, რომლის გარშემო ოპპოზიცია შემოკრბეს, —არამედ აჯანყების მეთაური და ხელმძღვანელი თვით პროლეტარიატი შეიქნეს. სწორეთ ტ ე ხ ნ ი კ ურ ა თ ხ ე ლ მ ძ ღ ვ ა ნ ე ლ ობ ა და მ თ ე ლ ი რ უ ს ე თ ი ს ა ჯ ა ნ ყ ე ბ ი ს გ ა მ ო წ ყ ო ბ ა-მ ო მ ზ ა დ ე ბ ა —აი ის ახალი მიზანი, რომელიც პროლეტარიატს წინ დაუყენა ცხოვრებამ,—და, თუ ჩვენს პარტიას სურს მუშათა კლასის ნამდვილი პოლიტიკური ხელმძღვანელი იყოს, ის ამ მოვალეობის აღსრულებას ვერ უარყოფს და არც უნდა უარყოს.

მაშ, რა უნდა გავაკეთოთ, რომ ამ მიზანს მივაღწიოთ? რა გვარი უნდა იყვეს პირველი ჩვენი ნაბიჯები? ეს კითხვა ბევრმა ჩვენმა ორგანიზაციებმა პრაქტიკულათ უკვე გადასწყიტეს იმით, რომ ნაწილი თავის ძალღონისა და საშვალებათა პროლეტარიატის შეიარაღებას მოანდომეს. ახლა ჩვენი ბრძოლა თვითმპყრობელობასთან იმ ხანაშია შემდგარი, რომ შეიარაღება ყველას აუცილებლათ მიაჩნია. მარა, მარტო შეგნება იმისა, რაც აუცილებელია—არ კმარა,—ს ა ჭ ი რ ო ბ ა პ ა რ ტ ი ა ს პ რ ა ქ ტ ი კ უ ლ ი მ ი ზ ა ნ ი ს წ ო რ ე თ დ ა ნ ა თ ლ ა თ წ ი ნ დ ა უ ყ ე ნ ო თ. ამიტომ ჩვენი კომიტეტები ეხლავე დაუყონებლივ, უნდა შეუდგენ—ადგილობრივ ხალხის შეიარაღებას, საქმის მოსაგვარებლათ სპეციალური ჯგუფების შედგენას, იარაღის საშოვნათ რაიონული ჯგუფების მოწყობას, სხვა და სხვა ასაფეთქებელ მასალების მოსამზადებლათ, სახელოსნოების გამართვას, სახემწიფო და კერძო იარაღთა საწყობების და არსენალების ხელში ჩასაგდებათ პლანის გამომუშავებას. ჩვენ უნდა შეეიარაღოთ ხალხი არამც თუ „მწვავე მოთხოვნილებით თვით-შეიარაღებისა,“ როგორც გვირჩევს ახალი „ისკრა“, არამედ საქმით უნდა მივიღოთ ყოველგვარი ენერგიული ზომები „პროლეტარიატის შესაიარაღებლათ,“ როგორც მესამე კრებამ ჩვენ დაგვავალა. ამ კითხვის გადაწყვეტაში უფრო ადვილია, ვინემ სხვა რომელისამე,—შევთანხმდეთ. როგორც პარტიიდან გამოყოფილ ნაწილთან (თუ კი ისინი მართლა სერიოზულათ ფიქრობენ შეიარაღებაზე, და არა მხოლოდ ლაყბობენ „მწვავე მოთხოვნილებაზე თვით-შეიარაღებისა“), აგრეთვე ნაციონალურ სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებთან როგორიცაა სომხის ფედერალისტები და სხვები, რომელთაც იგივე მიზანი აქვთ ნასახული. ამგვარი ცდა უკვე იყო ბაქოში, სადაც, თებერვლის ქლეტა-

ხოცვის შემდეგ, ჩვენმა კომიტეტმა, „ბალახანა ბიბიებათის“ ჯგუფმა და ანჩაკისტების კომიტეტმა შეიარაღების საქმისთვის ორგანიზაციონური კომისია ამოირჩიეს თავიანთ შორის. აუცილებლათ საჭიროა, რომ ეს ძნელი და საპასუხისმგებლო საქმე საერთო ძალ-ღონით მოეწყოს და, ჩვენ გვგონია ამ ნიადაგზე ფრაქციონურმა ანგარიშიანობამ ყველაზე ნაკლებათ უნდა შეუშალოს ხელი ყველა სოციალ-დემოკრატიულ ძალთა შეერთებას.

ამასთანავე იარაღის რიცხვის გადიდებასთან, მისი მოპოება და ფაბრიკულ წესზე მომზადებასთან ერთად, აუცილებლათ საჭიროა, მივაქციოთ სერიოზული ყურადღება ყოველგვარ საბრძოლველ ჯგუფების შექმნას, რომ ნაშოვნი იარაღი საქმისთვის გამოვიყენოთ. არავითარ შემთხვევაში არ ჩავიდინოთ ისეთი მოქმედება, როგორც იარაღის პირდაპირ დარიგებაა მასისთვის: იმის გამო, რომ ჩვენი საშვალებანი ცოტაა და ძლიერ ძნელია პოლიციის. ფხიზელ მხედველობის ქვეშ იარაღის შენახვა,—ჩვენ ვერ შევიარაღებთ მცხოვრებთა რამდენადმე შესამჩნევ ნაწილებს და მაშინ ჩვენი შრომა სულ მუქთად დაიკარგება. სულ სხვაა, როცა ჩვენ სპეციალურათ საომარ ორგანიზაციას შევქმნით. სხვა-და-სხვა ჯგუფები, რომელნიც იარაღის კარგად ხმარებას შეისწავლიან, აჯანყების დროს სტიქიურათ დაიწყება ის, თუ წინდაწინ იქმნება მომზადებული,—გამოვლენ მთავარ და მოწინავე რაზმებათ: მათ გარს შემოკრებება და მათი ხელმძღვანელობით ბრძოლის ველზე გამოვა აჯანყებული ხალხი. მათი გამოცდილებისა და შეერთებულათ მოქმედების წყალობით, აგრეთვე კარგი შეიარაღებისა გამო,—შესაძლებელი გახდება აჯანყებულ ხალხის ყველა ძალები გამოვიყენოთ და მით უახლოვესს მიზანს მივაღწიოთ—მთელი ხალხი შევიარაღოთ და წინასწარ შემუშავებული პლანი მოქმედებისა სისრულეში მოვიყვანოთ. ისინი სწრაფათ დაიპყრობენ იარაღის სხვა-და-სხვა საწყობებს, მთავრობისა და საზოგადო დაწესებულებათა, საფოსტოსა და სატელეფონოს და სხვათ, რომელნიც რევოლიუციის განვითარება-მსვლელობისათვის საჭირონი იქმნებიან შემდეგში.

მარა, ეს მებრძოლი ჯგუფები საჭირონი არიან არამც თუ მაშინ, როცა რევოლიუციონური აჯანყება მთელს ქალაქს მოსდებია; არა ნაკლები საქმის გაკეთება შეუძლიათ მათ აჯანყების წინა დღეებში. უკანასკნელ ნახევარ წელში ხომ ნათლად დავრწმუნდით, რომ თვითმპყრობელობამ, რომელმაც მცხოვრებთა ყველა კლასში დაკარგა სახელი, მთელი თავისი ენერგია მიმართა იმას, რომ ქვეყნის ყველა ბნელი ძალები,— ვინც უნდა იყოს ეს,—პროფესიონალური ხულიგანები, თუ ნაკლებ-შეგნებული და გაფანატიკებული თათრები—თვის გარს შემოიკრიბოს რევოლიუციონერებთან საბრძოლველათ. პოლიციის შემწეობით შეიარაღებულნი და მის მფარველობის ქვეშ შყოფნი,—ისინი მცხოვრებთ შიშის ზარს სცემენ და ამნაირათ განმათავისუფლებელ მოძრაობის ატმოსფერას მძიმეთ და აუტანელათ ხდიან. ჩვენი ორგანიზაციები ყოველთვის მზათ უნდა იყვნენ წინააღმდეგობა გაუწიონ ამ ბნელ ძალთა ცდა-მოქმედებას,—და ვეცადოთ მათ-მიერ გამოწვეული მოძრაობა აშკარად მთავრობის საწინააღმდეგო მოძრაობათ გადავაქციოთ. შეიარაღებული მებრძოლი ჯგუფები, რომ ლნიც ყოველ წამს მზათ იქნებიან გამოვიდენ ქუჩაზე და ხალხს წინ წარუძღვენ, ადვილათ მიაღწევენ მესამე კრების-მიერ დასმულ მიზანს: —„შეიარაღებული წინააღმდეგობა უნდა გაუწიოთ შავ რაზმებს და საზოგადოთ ყველა რეაქციონულ ელემენტებს,—რომელთაც მთავრობა ხელმძღვანელობს“. (იხ. „Извѣщеніе“—„резолюція объ отношеніи къ тактикѣ правительства наканунѣ переворота).

ბრძოლის ჯგუფებისა და საზოგადოთ სატეხნიკო საომარ ორგანიზაციის ერთი უმთავრესი საქმე ის იქნება, რომ შეიმუშაოს თავის რაიონისათვის აჯანყების პლანი და შეუთანხმოს ის მთელ რუსეთისთვის პარტიულ ცენტრის-მიერ გამომუშავებულ პლანს. გამოუნახოს მოწინააღმდეგეს ყველაზედ უფრო სუსტი ადგილი, აღნიშნოს ის ალაგები, საიდანაც უნდა დაეცეს მას, რაიონში გაანაწილოს ყველა ძალები, ქალაქის ტოპოგრაფია კარგად შეისწავლოს—ყოველივე ეს წინდაწინ უნდა იქმნეს აღსრულებულ, რომ არასოდეს არა რომელიმე გარემოებებში მოუმზადებელი არ შევიქნეთ. აქ სულ უადგილოა, რომ ამ მხრივ ჩვენ დაწვრილებით შევეხოთ ორგანიზაციების მოღვაწეობას, მკაცრი კონსპირაცია მოქმედების პლანის შემუშავებაში, მარა რაც შეიძლება ფართეთ გავრცელება პროლეტარიატში სამხედრო-სატეხნიკო ცოდნისა, რომელიც აუცილებლათ საჭიროა ქუჩაზე ბრძოლის გასაწევათ... ამ საქმისთვის ჩვენ ვისარგებლებთ იმ სამხედრო პირებით, რომელნიც ორგანიზაციაში არიან; ამავე მიზნისთვის ჩვენ შეგვიძლია ვისარგებლოთ ბევრი სხვა ჩვენი ამხანაგებით, რომელნიც თავის ბუნებრივი ნიჭით და მიდრეკილებით ძლიერ სასარგებლონი იქნებიან ამ საქმეში. მხოლოდ ამნაირი ყოველმხრივი მომზადებას აჯანყებისთვის შეუძლია უზრუნველყოს სოციალდემოკრატიის ხელმძღვანელობა ხალხსა და თვითმპყრობელობის შორის მომავალს ბრძოლაში. მხოლოდ სრული და საესებით ბრძოლისათვის მზად-ყოფნა შეაძლებინებს პროლეტარიატს პოლიციასა და ჯართან ცალკ-ცალკე შეტაკებანი საყოველთაო სახალხო აჯანყებად გადააქციოს, რომ მეფის მთავრობის მაგიერ დროებითი რევოლიუციონური მთავრობა დააწესოს.

შეერთებული პროლეტარიატი, წინააღმდეგ „კუდა-ძუა პოლიტიკის მიმდევართა“, ყოველსაე თვის ძალ-ღონეს მოახმარს იმას, რომ მისს ხელში ერთად იყოს სატეხნიკო და საპოლიტიკო ხელმძღვანელობა აჯანყებისა; ეს ხელმძღვანელობა ის აუცილებელი პირობაა, რომლის შემწეობით მომავალი რევოლიუცია კლასობრივი ბრძოლის ინტერესების სასარგებლოთ შეგვიძლია გამოვიყენოთ.

უპრინციპობის ნაყოფები.

რა ძაან წააგავან ჩვენი მეუმცირესენი ტურგენევის „კმყოფილ კაცს“, იმ კაცს, რომელმაც ნაცნობს ცილი დასწამა, ეს ცილი გულმოდგინეთ და მოხერხებულათ გაავრცელა, მერე ეს ჭორი სხვისაგან გაიგონა და ნამდვილ ამბათ მიიღო!.. აი რით არის აღტაცებაში მოსული ეს „გმირი“ და თვითვე უკვირს „საქმენი თვისი საგმირონი.“ ჩვენ „მეუმ-

ცირესეთაც" პირველივე თვისი ნაბიჯი ცილის წამებით დაიწყეს და დღემდის ამ საშვალებას საარაკოთ ანვითარებენ.*) თავის „საპროგრამო" წერილში—„რა არის პარტია"—მათ „უმრავლესობა". პროლეტარიატის მტრათ გამოაცხადეს, მისი მოღვაწეობა მუშათა ინტერესებს დაუპირდაპირეს და დაასკვნეს, რომ „მეუმრავლესენი მათ ზურგზე ბუქნას გადადიან, რომ ისინი ბურჟუაზიულ მისწრაფებით არიან გაჟღენთილები და პროლეტარიატი ბრმა იარაღათ უნდათ თვისი პოლიტიკურ მიზნების განსახორციელებლათო. შეაზავეს რა ეს ცილისწამება „ფაქტებით", შეუდგენ მის სინამდვილეთ გასაღებას და აი, დღეს ისინი ზემოხსენებულ „გმირის" მდგომარეობაში იმყოფებიან. ამ თავის საქციელის მოულოდნელმა შედეგმა ეს რაინდები ისე გაათამამა, რომ მათ სულ დაავიწყდათ ლოღიკა და რევოლიუციონური ეთიკა. ისინი არავითარ საშვალებას არ ერიდებიან, ყოველგვარ ზომებს ხმარობენ, რათა როგორმე ეს მათი გამოწყობილი „საქმე" ბოლომდე მიიყვანონ. ამ მიზნით ისინი, სხვა მრავალ საშვალებათა შორის ბევრ „პრინციპიალურ" და „ტაქტიკურ" სტატიებსაც აცხობენ, სადაც უმთავრესათ თავიანთ ცილის წამების საგანი, „უმრავლესობა ყავთ მიზანში ამოღებული და უშენენ და უშენენ აუარებელ ტალახის ყუმბარებს იმ „უზურპატორების" ბანაკს.

როგორც იცით, მათ დასაწყისშივე თავის დროშას შემდეგი დევიზი წააწარეს: „უპრინციპობა". ამ დევიზის მიყოლამ ისინი სასაცილობამდე მიიყვანა და გზა კვალი სულ აურ-დაურია. აი რა! ამბობენ ისინი: შეიძლება პარტიას არ ქონდეს მკაფიოთ გარკვეული პროგრამმა და ტაქტიკა მაგრამ ეს მის მოღვაწეობას ვერ შეაჩერებსო... როგორც ხედავთ მეუმცირესეებისთვის მთელი საქმე მოღვაწეობაში (მოძრაობაში) ყოფილა—„მოძრაობა ყველაფერია—საბოლოო მიზანი არაფერი"—იმეორებენ ისინი ნეტარხსენებული ბერნშტეინის აზრს, მხოლოდ ფრთხილათ-კი, რომ ეს არავინ არ გაუგოს, თითქო საქმე მოღვაწეობაში, ოფლის ღვრაში იყოს და არა მის შედეგში, სარგებლობის მეტ-ნაკლებობაში.

შემდეგ განაგრძობენ: „ხმა ერისა—ხმა ღვთისაო", ე. ი. რაზედაც „ერმა" მიგითითოს, სოციალდემოკრატმაც ის უნდა გააკეთო, პრინციპი, რწმენა, ეს სულ მეტი ბარგია, სამარცხვინო თვისებებია და მათი მქონე ხალხის მოსისხლე მტერიაო. მაგრამ სჯობს თვით ისინი ვალაპარაკოთ:—„ხმა ერისა—ხმა ღვთისაო". მაგრამ „გმირები" რის გმირები არიან, რომ ეს იწამონ და მას დაეთანხმონ. „მას" (უმრავლესობას) „ურჩევნიათ მარტო დარჩენა; თავის საკუთარი მოძრაობა დაიწყონ, ვინემ „ბრბოს" დაეთანხმონ და მისი თვალთახედვის ისარი შეითვისონ"...

ეხლა ხომ გაიგეთ რა ცოდვილი ყოფილა ეს „უმრავლესობა". ის პრინციპის ღალატს მარტოდ დარჩენას ამჯობინებს! მოდი და ნუ ჩამოახრჩობთ ამ „გაკაჟებულებს". გაგონილა! მას ეუბნებიან, შენი სოციალდემოკრატიული რწმენა „ერის" სურვილებს, მის გულისთქმას შესწირეო და ის-კი ჯიუტათ გაიძახის—პრინციპს ვერ ვუღალატებო! ვერ უღალატებ და—„რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო!"—აკი იმისთვინაც მიგაკრა სამარცხვინო ბოძზე „უმცირესობამ"—ახია შენზე!

როგორც ხედავთ, „უმრავლესობამ" ვერ გამოიჩინა ცხოვრებაში უნარი, ვერ გაიგო ბაზრის მოთხოვნილება და ისეთი საქონელი,—რაღაც რწმენა—გამოიტანა, რომ მუშტარი სათოფეზედაც ვერ მიიკარა. სულ სხვარიგათ იქცევა „უმცირესობა". (ტყუილათ ხომ არ შეუღლდა თფილისის ვაჭრებთან)*) ის ყველას მოთხოვნილებას ეგუება—მუშასთან—მუშაა, ვაჭართან—ვაჭარი, მამულიშვილთან—პატრიოტი და ასე, რა „ქვეყანაშიაც ხვდება—იმ ქვეყნის ქუდს ახურავს"; ვთქვათ ჩავარდა მეფისთვის თავდადებულ „ერში", როგორ მოიქცევა—იკითხავთ თქვენ. რასაკვირველია, თავის რწმენას უარყოფს და მის თვალთახედვის ისარს შეითვისებს, „ერის ხმას" თავის ხმასაც შეუერთებს და მასთან ერთათ „ბოჟე ცარია ხრანის" ან „ალზდექ თამარ დედოფალოს" იგალობებს. მხიარული ხარხი კი იქნება, ღვთის წინაშე.

აი სადამდე შეტოპეს ჩვენმა „განმანათლებლებმა" და ვინც-კი მათ აქეთ არ მისდევს, მაშინვე ხალხის მოსისხლე მტრათ ნათლავენ და „ბოიკოტს" უცხადებენ!

ადვილი წარმოსადგენია თუ როგორი უნდა იყოს ამ უტაქტიკოთა „ტაქტიკა", რომელსაც ისინი ძალიან ხშირათ ხახხლავენ. აი ნიმუშებიც. როგორც იცით, აჯანყების მოწყობას „უმცირესობა" უტოპიათ სთვლის და მედიდურათ გაიძახის: მაგაზე მხოლოდ „უმრავლესობას" შეუძლია იოცნებოს, ფანტაზია მისი საქმეა, რადგან ის ცხოვრებას შეთქმულთა (заговорщически) თვალით უყურებს, მისთვის ყველაფერი რევოლიუციონერთა ორგანიზაციაა, რომელსაც სასწაულთ მოხდენა შეუძლია და სხ... ჩვენ-კი—„უმცირესობა"—იმდენათ გონიერები ვართ, რომ მაგნაირი არაკებით თავს არ შევიწყენთო, რომ

---

*) სხვათა შორის თავის „პასუხში კავშ. კომიტ—ს" ისინი სწერენ: „ციტატის გამოგონებაში კავშ. კომ. მარჯვეა: მაგალითად მე-12 გვ. მოყვანილი ციტატა „მუშათა კლასი"... და სხ. ერთიანათ გამოგონებულიაო". მეტი თავხედობა და მკითხველის აბუჩათ აღება აღარ შეიძლება! ყველაფერი გამიგია: ციტატის გადასხვაფერებაც, სიტყვების აქა-იქ ამოგლეჯაც და მერე ერთათ მიკოწიწება, მოწინააღმდეგის აზრის გადამახინჯებაც; მაგრამ ნამდვილი ციტატის უარყოფა, არსებულის მოჭორებულათ გამოცხადება, როგორც ამას „პასუხის" ავტორები შვრებიან—ეს პირველად მესმის; აქამდის თვით სახელოვანი „ახალმოსულიც" არ მისულა. რით აიხსნება ეს? მით, რომ ცილის წამება ჩვეულებათ გადაექცათ ჩვენ „მეუმცირესეებს".

*) უნდა შევნიშნოთ, რომ თბილისის ვაჭრების „სუდი" (სასამართლო), რომელიც არა ლეგალურათ მოქმედებს, და რომელიც, რასაკვირველია, ბურჟუაზიის ფინანსებს აწესრიგებს, ქვეყნის თვალში თბილისის „უმცირ." კომიტეტის განყოფილებათ ითვლება და მისი სახელით მოქმედებს. ჩვენ ეს არა გვჯეროდა და გვეგონა, რომ ვინმე ბოროტათ ხმარობდა კომიტეტის ავტორიტეტს თავის ქვენა გრძნობების მისაღწევათ და ველოდით, რომ თვით „უმც." კომ. განაცხადებდა ამ საზიზღარ საქციელის წინააღმდეგ პროტესტს. მაგრამ ეს ასე არ მოხდა და ჩვენც ცოტა ეჭვი შეგვეპარა! ორში ერთი ან თბ. „უმც." კომ. მართლა ბურჟუათა საქმეთ თავის საკუთარ საქმეთ თვლის და მათ „სასამართლოს" თავის დროშით იცავს, ან მარტო თავის **ფირმას** აძლევს საექსპლოატაციოთ და თვით განზე დგას. პირველ შემთხვევაში ღალატია სოციალდემოკრატიის პრინციპების მიმართ, მეორე—შეურაცხყოფა-შემწიკვლა მისი დიდებული დროშისა.

16345

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

რევოლიუცია თავისით, სტიქიურათ ხდება და ჩვენ მხოლოდ, რაც მოხდება, მას უნდა გაუწოთ ანგარიშიო და სხ... ერთი სიტყვით, ისინი, „მეუმცირესენი“—უარყოფენ აჯანყების მოწყობას და ყოველივე მზადებას მისთვის—მათთვის ყველაფერი—სტიქიაა. „უმრავლესობას“ ეს შესაძლებლათ მიაჩნია: მას სწამს, რომ მაგარ პარტიათ შეერთებული რუსეთის სოციალდემოკრატია—შესძლებს, მოვალეა შესძლოს—საერთო აჯანყების მოწყობას და მის ხელმძღვანელობას, როგორც მუშათა კლასის მეთაური. ამ მიზნის მისაღწევათ ის ასეთ გზას ადგია: აჯანყება თავისით, სტიქიურათ ხდება—ეს მართალია, მაგრამ ის ხდება ცალ-ცალკე, დაქსაქსულათ და ამიტომ მუდამ მარცხით თავდება. საჭიროა ეს ძალები შეერთდენ და, დაახლოებით ერთ-დაიმავე დროს მიიტანონ მტერზე იერიში. ეს-კი მოსახერხებელია—თუ რევოლიუციონურ პროლეტარიატს და მის ორგანიზაციებს შორის მჭიდრო კავშირი, ერთი მაგარი და კარგი ხელმძღვანელი ცენტრი იქნებაო. აი ამაზე უკიჟინებს „უმცირესობა“ „უმრავლესობას“ და ეუბნება—შენ აჯანყების დანიშვნა, რევოლიუციის მოხდენა ბრძანებით, თითის დაქნევით გინდაო.

ახლა ვნახოთ თვით „უმცირესობა“, როგორ უყურებს რევოლიუციას როცა ის ამაზე მსჯელობს? ის ამას ბულიგინის კომისიიდან გამოელის, იმ დროსთვის ინახავს. არა გჯერათ? აი მაგალითი: ის თავის —„საერო კრება და ჩვენი ტაქტიკა“-ში გვაუწყებს: „ბოლოს ყოველნაირათ ზომებით, დემონსტრაციებით, გაფიცვებით და, თუ საჭირო იქნება აჯანყებით, თვით საერო კრება ვიძულოთ დამფუძნებელი კრება მოიწვიოს ან თავისი თავი გამოაცხადოს დამფუძნებელ კრებათ“... მე აქ არ შევეხები ამ, უკაცრავათ პასუხია, „ტაქტიკის“ ჰოარაობას, მის „ან“-„ან“ „თუ“-„თუ“-ობას, ეს მერე. ახლა-კი შემდეგ გარემოებას მივაქცევთ თამამ ავტორის ყურადღებას: როგორ, დიდებულო „ტაქტიკოსო“, შენ გინდა აჯანყება რაღაც ბულიგინის კომისიის მოწვევასთან ერთათ მოახდინო, სწორეთ დანიშნულ დროს და ისიც, თუ საჭირო იქნება?! თუ საჭირო არ იქნება, აღარ მოახდენთ? —ეს შემთხვევით წამოსროლილი სიტყვა, ან კორექტურული შეცდომა არ გეგონოთ, ის ამავე აზრს მეორე წერილშიც იმეორებს. აი კიდევ რას სწერენ: „თუ ეს არ მოხდა, თუ (კიდევ „თუ“ „თუ“!) თვით კრება იმდენათ რეაქციონური გამოდგა, რომ რევოლიუციას შეებრძოლა—მაშინ საჭირო იქნება უეცარი აჯანყებით, როგორც კრების, ისე მთავრობის გაგდება“. *) (თურმე თვითმპყრობელ მთავრობის „გაგდება“ მასასე ადვილათ შესძლებია და ჯერ საჭიროთ არ სთვლის, (ალბათ მარტინოვი არ უბრძანებს) როგორც ხედავთ „უმცირესობა“ აღარა ხუმრობს და, როცა და რა დროსაც საჭიროთ დაინახავს, უეცრათ აჯანყებას ახდენს, ნიშნავს! და თუ მის მოწყობა-მოწეს-რიგებაზე თქვით რამე, მაშინვე შეთქმულს გიწოდებს, ისტერიკა დაემართება, ხელებს გაასავსავებს და პირჯვრის წერით ყველა წმინდანებს შეგარისხებს.

ასე გაატარა-რა საერო კრება თავის „ტაქტიკაში“, ის გადავიდა დამფუძნებელ კრებაზე, შემდეგ „დროებით მთავრობა“-ც (თუ დროებითი რევოლიუციონური მთავრობა? რათ გაურბით ასე სიტყვას: „რევოლიუციონური“? ესეც ერთი ოპორტიუნიზმის თვისებათაგანია!) მოაგონდა და ერთი „ტაქტიკაც“ ამისათვის გამოჩიკა. კითხულობთ ამ ეპისტოლეს ერთხელ, ორჯელ. გინდათ რამე მთლიანი აზრი გამოიტანოთ, მაგრამ ამაოთ! რაც მეტს უკვირდებით, იმდენად მეტ უაზრობას აწყდებით. ერთს გაიგებთ მხოლოდ ნათლათ: დროებითი რევოლიუციონური მთავრობა რაღაც შიშის ზარს გვრის ავტორს, და ის აღშფოთებული ყველა მართლ-მორწმუნეს ურჩევს: არამც და არამც მაგ საეშმაკეთში არ შეგიტყუონ, თორემ წაწყმდებით, გაბურჟუავდებითო და სხ... გასაგებია მისი სულისკვეთება: მას, როგორც უპრინციპოს უნდა ეშინოდეს, რომ ბურჟუაზიამ თვისი პრინციპები არ ჩაუდოს თავში, მაგრამ ერთი მითხარით, თუ უფალი გწამთ: მთელი შეგნებული პროლეტარიატი და მისი პარტია აქ რა შუაშია?! „სოციალდემოკრატმა“ და მის სულის ჩამდგმელების სულის ჩამდგმელმა მარტინოვმა. შეიძლება დაივიწყონ (თუ უკვე არ დავიწყებიათ) თავისი მიზანი პროგრამა-მინიმუმი, მაგრამ ეს მათ არავითარ უფლებას არ აძლევს, რომ მთელი პარტია თავის ადლით ზომონ და თავის გულ-მავიწყობა მასაც თავზე მოახვიონ! ეს პროლეტარიატის დამცირება, მისი აბუჩათ აღებაა, გავიმეორებ მე მათ საყვარელ დემაგოგიურ ფრაზებს. წინა წერილში—„დამფუძნებელი კრება“—ისინი სწერენ: „პროლეტარიატის მიზანია დემოკრატიული რესპუბლიკა“. და მერე იქვე—თითქმის იმავე გვერდზე, გაიძახიან: პროლეტარიატი დაინახავს თუ არა თავის მთავრობას, ეს თვისი მიზანი დაავიწყდება და მაშინვე ისეთ რამეს მოითხოვს, რის განხორციელებაც შეუძლებელი იქნებაო. ელაპარაკე ამათ! ჯერ ქვეყანა გამოაყრუეს ყვირილით—პროლეტარიატი ნამდვილი სოციალდემოკრატია, ის არასოდეს არ შესცდება, მუდამ სწორე გზით მიდის და ჩვენ მას უნდა მივყვეთ, მისი თვალთა ხედვის ისარი უნდა შევითვისოთო. ეხლა-კი, როცა ეს სასარგებლოთ აღარ დაურჩათ, არა თუ მთელი პროლეტარიატი, მის მოწინავე ნაწილიც-კი ისეთ უგუნურებათ გამოყავს, რომ ის, ნახავს თუ არა სოციალდემოკრატია დროებით რევოლიუციონურ მთავრობაში შევიდა, მაშინვე გადაირევა, თავის ანარხისტობით „შეუგნებელ ბრბოს“ ააჯანყებს და კონტრრევოლიუციას გამოიწვევსო. არა, ბატონებო! როგორც პირველში ისე მეორე შემთხვევაში ძალიან შემცდარები ბრძანდებით! ჩვენ გვწამს, რომ შეგნებულ პროლეტარიატს ვერავითარი დროებითი რევოლიუციონური მთავრობა თავის პრინციპს ვერ დაავიწყებს, ვინაიდგან „ის მომხრეა მტკიცე-პრინციპიალურ პოლიტიკისა, რომელსაც ვერ არყევს წუთიერი გულის-თქმა, პირადი და ადგილობრივი ინტერესები“, როგორც ამბობს კ. კაუცკი. ამიტომ ის მოუთხოვნელს ვერ მოითხოვს და თვის შეუგნებელ ამხანაგებს (გარდა ხულიგანებისა) არ აამხედრებს თავის წინააღმდეგ.

აი კიდევ რას ამბობს ეს ახირებული ტაქტიკოსი: „მეტყვიან: რევოლიუციას ხომ პროლეტარია-

*) „დამფუძნებელი კრება“,—„სოციალდემოკრატი“ № 2.

იქმნა საეროზე მოლვაწეებისა და ქალაქის თავების ტი მოახდენს, მაშასადამე, დროებითი მთავრობაც მას ჩაუვარდება ხელშიო. ვთქვათ, რომ ეს ასეა, მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ გამარჯვებული პროლეტარიატი სოციალდემოკრატიული პროლეტარიატია. 9 იანვარს რომ პროლეტარიატს გაემარჯვნა, მთავრობას შეადგენდა გაპონი და არა სოციალდემოკრატები". ვთქვათ, რომ მართლა გაპონები ჩაუდგნენ მუშებს სათავეში („მეუმცირესესენი" მაინც აქეთკენ მიათრევენ პარტიას) და დროებითი მთავრობაც შეადგინეს, რას იზამენ მაშინ ეს ჩვენი „გოლიათები"? გარედმიდან დავატანთ ძალასო—სხარტათ მიპასუხებენ ისინი. მერე როგორ, ბრძენებო? თუ-კი პროლეტარიატი გაპონების ხელშია, ის ხომ შიგნითაც და გარეთაც მის ხელშია, მაშ რომელი ძალით უნდა მიიტანოთ „გარედმიდან" იერიში (თბილისის ვაქრების იმედი თუ გაქვთ!) თუ, სამწუხაროთ, გაპონებმა სოციალდემოკრატია დაამარცხეს და პროლეტარიატი თვით გაიყოლიეს, მაშინ ხომ ჩვენ დროებით მთავრობაში არც შევალთ და არც შეგვიშვებენ! ამიტომაა, რომ ჩვენ მკაფიოთ და გარკვევით ვიძახით: დროებით რევოლიუციონურ მთავრობაში იმ შემთხვევაში შევალთ, თუ რევოლიუციონური დემოკრატიული დიქტატურა სოციალდემოკრატიულ პროლეტარიატს და დემოკრატიას ჩაუვარდება ხელში და ამ პირობებში თქვენსავით არ გვეშინიან მოწინავე პროლეტარიატის და მისი პარტიის გულ-მავიწყობისა. მაშასადამე, გაპონების მთავრობაზე ბაასი ცარიელი წყლის ნაყვაა და‚არ ვიცით, რათ დასჭირდა თავ-მომწონე „ტაქტიკოს" ეს უაზრო ოპერაცია? „აქედან ცხადია" —დაასკვნის ის—„ჩვენი ტაქტიკა ბურჟუაზიულ დროებით მთავრობის მიმართ: მასაც ისე, როგორც საერო კრებას ვაყენებთ ჩვენ მხედველობის ქვეშ"... როგორც ხედავთ, „უმცირესობას" აქ ფიქრათაც არ მოსდის საერო კრებაში მონაწილეობა მიიღოს. პირ-იქით, მასაც სწორეთ ისე, როგორც „დროებით მთავრობას", ბრძოლას უცხადებს, ე. ი. გარედმიდან ატანს ძალას. საერო კრების მიმართ ასეთი ტაქტიკა ყველა სოციალდემოკრატს მოეწონება და ჩვენც გვესიამოვნა, რომ „უმცირესობამ" აქ მაინც გამოიჩინა ცოტაოდენი პოლიტიკური სიმწიფე. მაგრამ დახეთ პროგრამის გამოურკვეველობას, წყეულმა სტიქიამ აქაც იჩინა თავი და მეორე ნომერში ნათქვამი, მეოთხეში მთლათ დაავიწყა ჩვენ დონკიხოტებს. მეოთხე ნომერ სოციალდემოკრატში მათ გვაუწყეს, რომ თბილისის რაიონულ და პროპაგანდისტების შეერთებულ სხდომაზე დაადგინეს, რომ ეს კრება პრინციპიალურათ მომხრეა საერო კრებაში მონაწილეობის მიღებისა.

თუ როგორი დიპლომატიური თვალთ-მაქცობით გაიყვანეს „მეუმცირესეთა" ბელადებმა (აქაურებმა) ეს კითხვა, ამაზე არას ვიტყვით, ეს კითხვის არსებით მხარეს არ შეადგენს. აქ საგულისხმო ისაა, რომ „უმცირესობამ" საერო კრებაში მონაწილეობის მიღება პრინციპიალურათ სასარგებლოთ სცნო, „მეუმცირესეთ" თვითმპყრობელობის მოწყობილ კომედიაში შესვლა გადასწყვიტეს და მით ერთხელ კიდევ დაანახვეს ქვეყანას, რომ ისინი ბულიგინებს, შიპოვებს და კომპ. უფრო მეტ თანაგრძნობას უცხადებენ, ვინემ იმ რევოლიუციონერებს, რომლებიც რევოლიუციის მარჯვე მიმდინარეობის დროს, შევლენ დროებით რევოლიუციონურ მთავრობაში და ჩვენი პროგრამა—მინიმუმის გაყვანას შეეცდებიან.

იგივე.

მოღალატე ლიბერალები და მონარქიული თავად-აზნაურობა.

გასული ივნისის თვის 6 და 21 რიცხვებში მეფეს წარუდგა პეტერბურგში ორი დეპუტაცია. ორივე დეპუტაცია მეფის წინაშე გამსჭვალული იყვნენ ერთის და იმავე „მხურვალე გრძნობით მამულისადმი სიყვარულისა" და ორივე ესაუბრებოდა მეფეს „ხალხის" სახელით! მეფემ ერთგვარი მოწყალებით მიიღო ორივე დეპუტაცია და „გულწრფელი მადლობა გადაუხადა მათ იმ გრძნობათა და აზრთათვის, რომელმაც მიიყვანა ისინი მასთან."

[illegible]ა უთხრეს მეფეს „ხალხის" ამ მოციქულებმა და რატომ დარჩა ასე მადლობელი მეფე?

თავის სიტყვებსა და პეტიციებში, რომელიც გამოქვეყნდა ლეგალურ პრესაში, ორივე დეპუტაცია ჩივის სახელმწიფოში გამეფებულ სრულ ანარქიას, იმ საშინელებას რომელიც მოუტანა რუსეთის ხალხს ომმა,—და სიხარულით ეგებება მეფის გადაწყვეტილებას—ხალხის მოწვევის შესახებ, რუსეთის სახელმწიფო წესწყობილების განსანახლებლათ. ორივე დეპუტაცია ერთნაირათ თავის უქვეშევრდომილესს გრძნობებს უცხადებს „უსაყვარლესს მონარქს" და სთვლიან მეფეს გულშემატკივარ მზრუნველათ ხალხის საჭიროებათა და უთითებენ მას ბიუროკრატიაზე, როგორც ყველა იმ უბედურების მიზეზზე, რომელიც რუსეთს თავს დაატყდა; მოითხოვენ ამ საზიზღარი „შუამავლის" მოსპობას და სურვილს უცხადებენ, თუმცალა სხვა-და-სხვა სახით,—რომ აღთქმული ერთობა მეფეს და ხალხს შორის დამყარდეს." ორივე დეპუტაცი[illegible] უფრთხის რევოლიუციას, როგორც ცეცხლს, და ზემოდგან რეფორმების გაყვანას შენატრის.

ამ ზოგადი მოთხოვნილებათა ზერელე აღნუსხვაც ნათლათ არკვევს ამ ორ დეპუტაციის ანტირევოლიუციონურსა და ანტიპროლეტარულ ბუნებას. აი მიზეზი იმისა, რომ ასეთი მოწყალებით ესაუბრა ორივე დეპუტაციას რუსეთის თვითმპყრობელი და გულწრფელი მადლობით გაისტუმრა ორივე.

მაგრამ ეს ორი დეპუტაცია საინტერესოა არა მარტო იმით, რაც ახლოებს მათ ერთი მეორესთან და ჰყოფს რევოლიუციონური პროლეტარიატისაგან. მუშებმა გულდასმით უნდა ადევნონ თვალყური აგრეთვე ყველა იმას, რაშიც განსხვავდებიან ერთი მეორისაგან ეს ბრწყინვალე „ბატონები", რომელნიც, თუმცა ერთნაირათ „ხალხის" სახელით ლაპარაკობენ, ერთნაირათ იმედი აქვთ „სამშობლოს დამშვიდებისა"; მაგრამ, მიუხედავათ ამისა, სხვა-და-სხვა გზას ირჩევენ—„ხელმწიფის-მიერ ნაუწყებ სასურველ ცვლილებათა" განსახორციელებლათ. იმას, რაც ამ „ვაჟბატონებს" აერთებს და იმას, რაც მათ ერთი მეორესაგან ყოფს, ერთგვარი სერიოზული პოლიტიკური ინტერესი აქვს ჩვენთვის დღეს.

ლიბერალების დეპუტაცია, რომელიც არჩეულ

კრებაზე, წარსდგა მეფის წინაშე 6 ივნისს და თავის ხელმწიფეს სთხოვა „გამოცხადებულ ცვლილებათა განსახორციელებლათ“ „მოუწოდოს ხალხის-მიერ თავისუფლად არჩეულ წარმომადგენლებს, რათა მათ მეფესთან ერთად გადასწყვიტონ საკითხი ომისა და ზავის შესახებ და დააფუძნონ ახალი სახელმწიფო წესწყობილება.“ ლიბერალები არ ფიქრობენ მონარქიულ რეჟიმის მოსპობას და ხალხის თვითმპყრობელობის შემოღებას—დემოკრატიული რესპუბლიკის სახით, რომელსაც ითხოვს და რომლისთვისაც მედგრათ იბრძვის მუშათა კლასი. არა, ისინი, დარწმუნებულნი, რომ მეფეს სურს სიკეთე და ნამდვილათ-კი ბოროტება ხდება,—რომ მეფე ბრძანებს ერთს, კეთდება-კი სულ სხვა... ამიტომ მათ მეფის ბატონობის შენახვა სწადიათ; ისინი თხოულობენ მხოლოთ ბიუროკრატიის მოსპობას და მისს ადგილზე „ხალხის წარმომადგენლების“ მოწვევას. ლიბერალებს არ უნდათ, რომ წარმომადგენლობა წოდებრივი იყოს, მიტომ რომ „რუსეთის მეფე—მარტო აზნაურების, გლეხების და ვაჭრების მეფე კი არ არის, არამედ მთელი რუსესეთის მეფეა“... მაგრამ, ამასთან ერთად ისინი როდი თხოულობენ საყოველთაო, თანასწორ, პირდაპირ და ფარულ კენჭის ყრით საარჩევნო უფლებას,“—რომელიც ერთად ერთი უზრუნველყოფს დემოკრატიისა და ნამდვილ სახალხო წარმომადგენლობის ინტერესებს. მათთვის საეჭვოა ისიც, თუ „ხალხის წარმომადგენლებათ“ თვით ეს ბრწყინვალე და განათლებული „ვაჟბატონები“ გახდებიან. ისინი დაიკავებენ თუ არა ბიუროკრატიის ალაგს და ჩაიგდებენ თუ არა ხელში ძალას, რასაკვირველია, შეუდგებიან თავისებურათ იმ „ხალხის“ ინტერესებზე ზრუნვას, რომლის სახელს დღეს ისინი წამ-და-უწუმ ფიცულობენ!...

ის დეპუტაცია, რომელიც მეფეს 21 ივნისს წარუდგა, მეფის გვირგვინისა და ძველი რეჟიმის ერთგული ფეოდალური აზნაურების დეპუტაცია იყო! დიდებულო ხელმწიფეო! ამბობს ეს დეპუტაცია თავის პეტიციაში, რომელიც მან მეფეს მიართვა: „ჩვენი საზოგადოების ერთი ნაწილის ჯიუტმა მისწრაფებამ, რომელსაც სურს —შეარყიოს ისტორიულათ შემუშავებული სახელმწიფო წესწყობილება და მოახვიოს ქვეყანას მისი მდგომარეობისა და საზოგადოებრივ წყობილებასთან შეუფერებელი ფორმები მართვა-გამგეობისა, — გვაიძულა შეერთებულიყავით ერთ რაზმად ყველა ჩვენ, რომელთაც გვწამს, რომ სახელმწიფოს ცხოვრების განვითარება შეუძლებელია ისტორიულ წარსულთან შეუკავშირებლათ“.

„მთელის რუსეთის ხალხთან“ და „დიდ ხელმწიფესთან“ ერთად ეს დეპუტატებიც გრძნობენ, რომ აუცილებლათ საჭიროა „შუამავალი“—ბიუროკრატიის მოსპობა; მაგრამ, ამავე დროს ენერგიულ პროტესტს აცხადებენ არა-წოდებრივ, სახალხო წარმომადგენლობის წინააღმდეგ და ემუდარებიან მეფეს—მოიწვიოს ისტორიის-მიერ დაკანონებულ ჯგუფებისაგან არჩეული წარმომადგენლები.

„არა, ხელმწიფეო!“—გაიძახიან ისინი, ლიბერალებისკენ ნიშნისგებით:—„შენ უწინდებურათ აზნაურებისა და გლეხების მეფე ხარ, და ისინი ეტრფიან „იმ ძველი წყობილების განხორციელებას, როცა რუსეთის მეფე იკუთნებდა სრულ უფლებას, სრულ თავისუფლებას, მარა იმავე დროს უსმენდა ხალხის-მიერ არჩეულ საუკეთესო კაცების მართალსა და უანგარო ხმას.

ამგვარათ, ამ დეპუტაციების სახით, ჩვენს წინაშე აშკარათ გამოვიდა საპოლიტიკო გზაზე ორი პარტია, რომელთაც მომავალ რევოლიუციაში საყურადღებო მნიშვნელობა ექნებათ. ერთი მხრით, ლიბერალური პარტია კონსტიტუციონალისტებისა, რომელიც ცდილობს შეზღუდოს თვითმპყრობელობა და მოუპოვოს პოლიტიკური უფლებები ბურჟუაზიას,—მეორე მხრივ,—ფეოდალური თავად-აზნაურობა, რომელიც ორივე ხელით ეჭიდება მონარქიული მთავრობისა და ძველ წესწყობილების პრეროგატივებს. ამ ორი პარტიის გამოსვლა ცხოვრებაში შემთხვევითი და მოულოდნელი არ ყოფილა. სოციალდემოკრატიამ დიდი ხანია იწინასწარმეტყველა მათი მოვლინება, როგორც მომავალი ბურჟუაზიული რევოლიუციის აუცილებელი ისტორიული ფაქტორებისა.

იმ პარტიებში, რომელნიც უკვე არსებობენ, ან რომელთა გაჩენა მოსალოდნელია, და რომელთაც რევოლიუციონურმა პროლეტარიატმა ანგარიში უნდა გაუწიოს, ყველაზედ მეტი მნიშვნელობა და გავლენა ბურჟუაზიულ კონსტიტუციონალისტების პარტიას აქვს.

რამდენათაც უაზროთ და უმიზნოთ ფიქრობს რეაქციონური თავადაზნაურობა იმის გადარჩენას, რასაც ისტორიამ სიკვდილი მიუსაჯა, იმდენათ შესაძლებელია ბურჟუაზიის გამარჯვება, რომელიც ცდილობს, გამოგლიჯოს თვითმპყრობელობას თავისი წილი მართვა-გამგეობაში და გაბატონდეს სახელმწიფოში, არა მარტო ეკონომიურათ, არამედ პოლიტიკურათაც.

მაგრამ, ბურჟუაზიის არსებითი თვისებები და კლასობრივი მდგომარეობა ისეთია, რომ ის ყოველთვის ღალატობს „ხალხის“ ინტერესებს. ერთი მხრით, მის გვერდზე დგას რევოლიუციონური პროლეტარიატი, რომელსაც არ აკმაყოფილებს მ[illegible]ოდენ აჩრდილი ბურჟუაზიულ საზოგადო[illegible], მეორე მხრივ,—მას ახლავს ფეოდალური არისტოკრატია, რომელიც მუდამ სამაგიეროს გადახდას ცდილობს; და ამიტომ ბურჟუაზია ყოველთვის ორპიროვან და თვალთმაქცურ როლს თამაშობს როგორც ერთის, ისე მეორეს წინაშე. ტიერი, ეს პოლიტიკური მეთაური საფრანგეთის ბურჟუაზიისა, რომელმაც გაანადგურა პარიჟის კომუნა, და დაახვრეტინა ბურჟუაზიის ბატონობის წინააღმდეგ აჯანყებული მუშები, საუკეთესო მაგალითია იმისა, თუ რა გვარ მატყუარა და ვერაგულ პოლიტიკას ადგას ბურჟუაზიულ ლიბერალიზმის მომხრენი... „ბურჟუაზია“—ამბობს ის ერთს თავის საპარლამენტო სიტყვაში—„ყოველთვის მეტის მეტი ეშმაკობით და თვალთმაქცობით უნდა იქცეოდესო. მას თავის პოლიტიკურ ბრძოლაში იარაღათ ორი ლოზუნგი უნდა ქონდეს: თავისუფლება და წესრიგი! როცა მის წინააღმდეგ სდგას ფეოდალური თავადაზნაურობა, რომელიც თავის ძველი უპირატესობის აღდგენას ლამობს, ის უნდა შეუერთდეს ხალხს და მასთან ერთად იძახოდეს: თავისუფ-

ლება! მაგრამ,როცა მის წინააღმდეგ ხალხი ამხედრდება, მან ხელი უნდა გაუწოდოს თავადიზნაურობას და მასთან ერთად დაიძახოს: გაუმარჯოს წესრიგსაო!...

მაგრამ, ევროპას ბურჟუაზია ასეთი გულახდილი და თანაც უსირცხვილო მხოლოდ მას შემდეგ გახდა, როცა საბოლოოთ დასცა აბსოლიუტიზმი (თვითმპყრობელობა). მანამდე-კი ის თავის თავს გულწრფელათ სთვლიდა მთელი ერის ინტერესების გამომხატველათ და სათავეში უდგა აჯანყებულ, რევოლიუციონურ ხალხს. დასავლეთ ევროპის გამოცდილებამ ერთის მხრით, და შეგნებული რევოლიუციონური პროლეტარიატის არსებობამ რუსეთში, მეორე მხრით, ბურჟუაზიას გულში ჩაუკლა გულუბრყვილო რწმენა, რომ ის ეროვნულ განთავისუფლების მატარებლათ, „თავისუფლებისა, თანასწორობისა და ძმობისათვის“ მებრძოლათ მოწოდებულია. პროლეტარიატმა მას თვითმპყრობელობის საწინააღმდეგოთ აღძრული თავგამოდებული ბრძოლის ხალისი წაართვა.

რუსეთის ბურჟუაზია ჯერ კიდევ რევოლიუციის დაწყებამდე იძულებული გახთა გამოეაშკარავებინა თავისი ნამდვილი ბუნება. მან ჯერ ვერც-კი მოასწრო გარევოლიუციონერება და უკვე აშკარათ ღალატობს რევოლიუციისა და ხალხის ინტერესებს.

ერთის მხრით, ის თავს ევლება პროლეტარიატს, გამოდის „ხალხის“ სახელით და პირდება მას „თავისუფლათ არჩეულ სახალხო წარმომადგენლობას;“ მეორე მხრით,—ის ქედს იხრის მონარქიული მთავრობის წინაშე, ესიყვარულება მეფეს და სასახლის ლაქიებს საიდუმლო ხელშეკრულობას უდებს. მაგრამ, ვერავითარი „თვალთმაქცობა“ და ვერავითარი შეთქმულება ლიბერალების მხრივ ვერ მოატყუებს შეკავშირებულ და კლასობრიულ შეგნებით გამსჭვალულ პროლეტარიატს! რევოლიუციის დიდებულ წინსვლას ვერ შეაჩერებს ვერც მატყუარა და ვერაგი ლიბერალები, ვერც სასახლის გულმოდგინე კამარილი; ის გააქრობს უკანასკნელ ნაშთს დახავსებულ თვითმპყრობელობისა და მისცემს ხალხს იმას, რაც ახლა ასე სჭირია: თავისუფალ დემოკრატიულ რესპუბლიკას, საყოველთაო, თანასწორ, პირდაპირ და საიდუმლო ხმის მიცემის უფლებაზე დამყარებულს.

კორესპოდენციები.

შორაპანი. თბილისისა და ქუთაისის საერთო გაფიცვებმა აქაც აახმაურა მუშები. ივნისის ბოლო რიცხვებში აქაური ვაგონების დამტვირთველმა მუშებმა გაფიცვა გამოუცხადეს „რკინის გზას.“ მუშები ითხოვდნენ: მანეთ ნახევარ დღიურ ქირას (მანამდე მანეთს იღებნენ) და ათ-საათიან სამუშაო დღეს (მანამდე თოთხმეტ-ხუთმეტ საათს მუშაობდნენ). „რკინის გზამ“ უარი გამოუცხადა მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე, დაითხოვა ყველა ძველი მუშები (რიცხვით, ასზე მეტი), და მათ ადგილზე მოიყვანა ახალი მუშები—კაზანელი თათრები. თანაც პოლიცია ჩაერია საქმეში („პრისტავი“ მახარაძე*) გამოგზავნეს მუშების ასალაგმავათ) და არივდარია მუშები. მუშები შედრკნენ და გადასწყვიტეს დაეთმოთ „რკინისგზისათვის“, მით უმეტეს, რომ ის კაცები, რომლებიც გაფიცვას მანამდე ხელმძღვანელობდნენ („მეუმცირესები“ იყვნენ), აღარსად ჩანდნენ,—სწორეთ ამ გაჭირვების დროს მიატოვეს მუშები. მაგრამ, ამ დროს ჩამოვიდნენ ჭიათურელი ამხანაგები, გაამხნევეს გაფიცულები და აღუთქვეს, რომ ჭიათურის ვაგონების დამტვირთელი მუშები გაფიცვით დაუჭერენ მხარს შორაპნელ ამხანაგებს მანამდე, სანამ მათ არ დააკმაყოფილებენ. შორაპნელი ამხანაგები სიხარულით მიეგებნენ ჭიათურელების წინადადებას და გაფიცვა გააგრძელეს. ამავე დროს მოვიდა ჭიათურის ორგანიზაციის ფურცლები შორაპნელი მუშებისადმი, სადაც ის იწვევს მათ გააგრძელონ გაფიცვა და თავიანთ მოთხოვნებს ერთი მოთხოვნაც მიუმატონ: დათხოვნა ყველა ახალი მუშებისა. ამ გვარათ, საქმე გაიჩარხა და გაფიცულებმა წელი მოიმაგრეს. ჭიათურამ მუშაობა შეაჩერა და მოითხოვა შორაპნელების დაკმაყოფილება. „რკინის გზა“ იძულებული გახდა ყ ვ ე ლ ა მოთხოვნები დაეკმაყოფილებინა. ასე გათავდა შორაპნელების გაფიცვა. მუშები ცხრა ივლისიდან მუშაობას დაადგნენ. „ახლა-კი მივხვდით, რომ ღარიბებსაც შესძლებია მდიდრების დამარცხება, თუ კი ეს ღარიბები ერთმანეთს მხარს დაუჭერენო“, ამბობენ აქაური მუშები.

—

ჭიათურა. კანტორების მოსამსახურეთა გაფიცვა, რომელიც ივნისის ბოლოში დაიწყო, გათავდა ზოგიერთა მოთხოვნების დაკმაყოფილებით.

ხუთ ივლისს ჭიათურის ორგანიზაციის მოწოდებით, ჭიათურის ვაგონების დამტვირთველმა მუშებმა გაფიცვა მოახდინეს. მუშები ითხოვდნენ „შორაპნელი ამხანაგების დაკმაყოფილებას“. ცხრა ივლისს ორგანიზაციამ ცალკე პროკლამაციაში გამოაცხადა, რომ შორაპნელი ამხანაგები უკვე დააკმაყოფილეს, გაფიცვა გათავდა და ეხლა დროა ჩვენც მუშაობას შევუდგეთო. მუშები გამარჯვებას დღესასწაულობენ.

—

ამ ივლისის თვეში ჭიათურაში მოვიდა ორი ვაგონი სოციალ-რევოლიუციონერები, ფედერალისტები, ავტონომისტები, ანარხისტები და სხვა-დასხვა ისტები. „კამათი გვინდა გაუმართოთ სოციალ-დემოკრატებს და მუშები მოვიმხროთო,“ ამბობდენ ისინი. მოგროვდა ათასხუთასამდე მსმენელი. კამათი გათავდა მოწინააღმდეგეთა სრული დამარცხებით. კამათის ბოლოში მუშებმა დროშა აუშვეს და დაიძახეს: „ძირს სოციალ-რევოლიუციონერები, ძირს ფედერალისტები, გაუმარჯოს სოციალ-დემოკრატიასო!“ და მარსელიეზას სიმღერით შემოიარეს მთელი ბაზარი. გზა-და-გზა ჩერდებოდნენ და სიტყვებს ისმენდენ. მეორე დღეს კიდევ გაიმართა კამათი. ორიათასზე მეტი მსმენელი დაესწრო. აქ უფრო სასტიკათ დამარცხდნენ პატივცემული „ისტები“ და იძულებული გახდნენ მოშორებოდნენ ჭია-

*) ეს ის მახარაძეა, რომელმაც რამდენიმე თვის წინეთ თხოვნით მიმართა იმერ.-სამეგრელოს კომიტეტს: ნუ მომკლავთ და, როგორც გინდათ, ისე მოგეხმარებით, ყველა ჯაშუშების ვინაობას შეგატყობინებთო. ნეტა ვის ატყუებდა ეს წამხდარი ლაქია წამხდარი მეფისა!

ფურას. კამათის გათავებისას ხალხმა ერთხმათ იგრიალა: „გაუმარჯოს სოციალ-დემოკრატიასო“, აუშვა სამი დროშა და მარსელიეზას სიმღერით ერთხელ კიდევ შემოიარა ჭიათურის ბაზარი. გზა-დაგზა რიგდებოდა ჭიათურის ორგანიზაციის პროკლამაცია ზემოთნახსენები „ისტების“ წინააღმდეგ. დემონსტრანტებმა ერთხელ კიდევ შესძახეს: „გაუმარჯოს სოციალ-დემოკრატიასო“, დაუშვეს დროშები და წყნარათ დაიშალნენ. ასე „გაასამართლა“ ჩვენი „ისტები“ „მშრომელმა ხალხმა!“

—

ბაკო. იმ ხოცვა-ჟლეტის შედეგები, რომელიც მთავრობამ მოახდინა თებერვლის 6—9 რიცხვებში, იმ მიზნით, რომ თათარსა და სომეხ მუშებ შორის უთანხმოება დაეთესა,—განსაკუთრებით თავი იჩინა მირზაბეკიანცის თამბაქოს ფაბრიკაში. ამ ფაბრიკაში მუშაობს 700 კაცი—სხვა-დასხვა ეროვნებისა, ყველაზედ მეტი სომხები და თათრები. უკანასკნელ ხანამდე ეს ფაბრიკა წარმოადგენდა ბაქოში საუკეთესო ბუდეს რევოლუციისა. მუშებმა, ხაზეინებთან და ადმინისტრაციასთან განუწყვეტელი ბრძოლის შემწეობით, ბევრი მოიპოვეს და რამდენათმე კიდეც გაიუმჯობესეს მდგომარეობა.

ეს იყო მაშინ, როცა მუშები, ეროვნების განურჩევლათ, სოლიდარობის გრძნობით იყვნენ გამსჭვალულნი და, ბაქოს სოც.-დემ. კომიტეტის ხელმძღვანელობით, შეერთებულნი ებრძოდნენ საერთო მტერს ხაზეინ-კაპიტალისტს. მაგრამ, აი, თებერვლის ხოცვა-ჟლეტის შემდეგ, სომხების უმრავლესობა ჩაიარდა ნაციონალისტური პარტიის — დროშაკისტების გავლენის ქვეშ, რომელმაც კიდეც ისარგებლა ამ შიშის ზარით, რაც სომხებში გამოიწვია ხოცვა-ჟლეტამ—გამოჰყო ისინი სხვა მუშებისაგან და ცალკე ორგანიზაციაში მოაქცია.

სოლიდარობის მოსპობამ მუშებში აუტანელი მდგომარეობა შექმნა. ასეთი აუტანელი მდგომარეობა იყო 9 ივლისსაც, როცა მუშების ერთმა ნაწილმა—რუსებმა და მაჰმადიანებმა—მოითხოვა ორი მუშის დათხოვა ფაბრიკიდგან და ამისთვის გამოაცხადა გაფიცვა. თავის მოთხოვნას ამ ორი სომეხი მუშის შესახებ ისინი იმით ასაბუთებდნენ, რომ: 1) ბრალდებული მუშები ატყობიებდენ ხაზეინს, რაც ხდებოდა მუშებში და 2) სარგებლობდნენ თავის გავლენით მეფაბრიკესა და მმართველზე და არავის არ იღებდნენ ფაბრიკაში, გარდა სომხებისა. აქ უნდა დავუმატოთ, რომ, ფაბრიკის წესების ძალით, რომელიც მუშებმა შეერთებული ბრძოლით მოიპოვეს, ადმინისტრაციას შეუძლია მუშების მიღება ან დათხოვნა მხოლოთ თვითონ მუშების თანხმობით.

გაფიცვის საბაბი შემდეგი იყო: ერთმა რუსმა-მუშამ, რომელიც წინათ მირზაბეკიანცთან მუშაობდა, ითხოვა ადგილი ფაბრიკაში. მისი თხოვნის შესასრულებლათ, მთელი ფაბრიკის მუშებმა დეპუტაცია გაუგზავნეს მეფაბრიკეს. სხვათა შორის, დეპუტაციაში მოჰყვა ერთი იმ სომეხ მუშათაგანი, რომლის გაგდება შემდეგ მოითხოვეს რუსის და თათრის მუშებმა. მაგრამ, ამ მუშამ გაღაჭრით უარი სთქვა დეპუტატობაზე და სულაც ბრ ინდომა ეშუამდგომლა რუსი მუშის მიღების შესახებ. მაშინ, მუშებმა უამისოთ მივიდნენ კანტორაში, მაგრამ უარი მიიღეს ადმინისტრაციისაგან, ვითომდა ადგილის უქონლობისგამო. რამდენიმე დღის შემდეგ სამუშაო ითხოვა სომეხმა მუშამ, რომელ ც კიდეც მიღებულ იქმნა მეფაბრიკის-მიერ, თავათ იმ სომეხ მუშის თხოვნით, რომელმაც არ ინდომა ეშუამდგომლა დეპუტაციასთან ერთათ რუსი-მუშისთვის. ამან მეტათ ააღელვა ყველა მუშები, გარდა სომხებისა,—და კიდეც გაფიცა გამოაცხადეს. მუშა სომხები არ შეუერთდენ გაფიცულებს და ოპოზიცია შეადგინეს, რომელიც ჩქარა გაფიცულებისადმი აშკარა მტრობათ გადაიქცა.

მოწინავე მუშებმა სთხოვეს ბაქოს კომიტეტს,—გამოეშვა ამის შესახებ ფურცელი. ფურცელი მართლაც, გამოსცეს. მასში განმარტებული იყო მუშების მოთხოვნა და გაკვრით ააშკარავებდნენ იმ ორი მუშის სიმუხთლეს და სხვა. პროკლამაციის ბოლოში იყო მოწოდება მუშა სომხებისადმი, რომელთაც იწვევდენ დანარჩენ მუშებს შეერთებოდნენ. მაგრამ, ამ მოწოდებას არავითარი შედეგი არ მოჰყვა; გაფიცვა განაგრძო მხოლოთ მუშების ერთმა ნაწილმა, ანტაგონიზმი მუშებში კი უფროდა უფრო გაძლიერდა.

ამ გვარ მდგომარეობაში მოსალოდნელი იყო შეტაკებაც. აი, ამ დროს გამოვიდნენ სცენაზე მშვიდობიანობის დარაჯნი, დააყენეს ფაბრიკის გარეშემო დარაჯები, შიგ შეყარეს მთელი როტა და ფაბრიკა ნამდვილ საპყრობილეთ გადაიქცა! მოვიდა თვითონ ფაბრიკის ინსპექტორი და მოახდინა ფარული კენჭის ყრა, რათა გამოერკვია, მართლა, მუშების უმრავლესობა ემხრობა თუ არა გაფიცვას. მართლაც, უმრავლესობა გაფიცულების მხარეზე დარჩა, მაგრამ ის ორი მუშა მაინც არ დაითხოვეს. როცა მეთაურებმა დაინახეს, რომ ფაბრიკა განაგრძობს მუშაობას სომეხ მუშების წყალობით, გადასწყვიტეს შემდეგ კომპრომისზე (დათმობაზე) წასულიყვნენ: 1) დატოვებულ იქმნას ის ორი მუშა, მიტომ კი არა, რომ მუშები იმათ ურიგდებიან, არამედ მხოლოთ მიტომ, რომ მათ არ სურს ნაციონალური ქაშპის გამწვავება; 2) სამაგიეროთ მიღებულ იქმნას 8 მუშა, რომელნიც უწინ დაითხოვეს.

ადმინისტრაცია დასთანხმდა შეესრულებინა ეს მოთხოვნები. მაგრამ, უარი სთქვა გაფიცვის დროს ნახევარ ჯამაგირის მეტის მიცემაზე. მუშებმა განაგრძეს გაფიცვა და ითხოვდნენ ყველა თავისი მოთხოვნილებების ასრულებას. აი, აქ კიდევ უფრო გამოაშკარავდა ნაციონალური პროპაგანდის საზიზღარი შედეგები, რომელთაც ძლიერ დაბნელეს პროლეტარიატის კლასობრივი შეგნება. მუშა სომხები წინააღუდგნენ იმას, რომ გაფიცულებისთვის გაფიცვის დროს ჯამაგირი მიეცათ.

მაშინ, გადასწყვიტეს ამოერჩიათ თვრამეტ-თვრამეტი კაცი მოპირდაპირე მხარეებიდან და მოლაპარაკება დაეწყოთ. სამწუხაროთ, კომიტეტის წარმომადგენელი შემთხვევით ვერ მოვიდა კრებაზე; მის მაგიერ მოვიდა ვიღაც, „უმცირესობის“ ადგილობრივი ჯგუფ-ი. მოლაპარაკების შედეგი ასეთი იყო: სომხები თხოულობდნენ, რომ გაფიცულებს მუშაობა დაეწყოთ, ორი კვირის შემდეგ-კი გაენახლებიათ თავისი მოთხოვნები და მაშინ ისინიც (სომხები) გაუწევენ დახმარებას. 10 საათის მოლაპარაკების შემდეგ, შეიმუშავეს საერთო მოთხოვნები და წარუდგინეს მეფაბრიკეს.

1) მიეცეს გაფიცულებს გაფიცვის დროს ჯამაგირის ნახევარი. 2) მუშების დათხოვის დროს მეფაბრიკემ მისცეს მუშას ერთდროულათ ფული არა

ნაკლებ 100 მანეთისა, თუ მას წელიწად ნახევარი უმსახურია; 3) რადგან ფაბრიკაში უთანხმოება თანრებსა და სომხებ შორის გამწვავდა და შეტაკება მოსალოდნელი გახდა, მუშებმა გამოსთქვეს სურვილი გაჩხრეკის შემოღებისა, იმ პირობით-კი, რომ გაჩხრეკენ თვითონ მუშები.

ასე გათავდა გაფიცვა, გასტანა 8 დღე; არავინ დაუჭერიათ,—მხოლოთ, რაღაცნაირ შთაბეჭდილების გავლენის ქვეშ განაფიცავი მუშები ათობით ანებებენ თავს ფაბრიკას.

აქ უნდა დავუმატოთ შემდეგი: დროშაკისტებმა, როცა დაინახეს ასეთი შედეგი გაფიცვისა და დარწმუნდნენ, რომ ის ორი მუშა რჩება ფაბრიკაში, პროტესტი გამოაცხადეს რაიონული კომიტეტის ფურცლის წინააღმდეგ, რომელშიც დაგმობილი იყო იმ მუშების ქცევა. დანიშნეს სამედიატორო სამართალი, რომელმაც გადაწყვეტილება უკვე მიიღო.*)

—

ასხაბადი. კიდევ ერთი მსხვერპლი მეიწირა საზიზღარმა თვითმპყრობელობამ! დაუვიწყარი ჩვენი ამხანაგი ლ. ლ. სტაბროვსკის სიკვდილით, რომელიც ადგილობრივ გიმნაზიის მასწავლებლათ იყო და სოციალიზმის იდეიებს ამ განაპირა ქვეყნებში ავრცელებდა, ჩვენ დავკარგეთ საყურადღებო ძალა. ის ამ წლის 10 იანვარს დაიჭირეს თავის სახლში. თუმცაღა მას გაჩხრეკის დროს ვერაფერი ვერ უპოვნეს, მარა მაინც კარგა ხანს სტანჯავდენ საპყრობილეში მას, უსამართლო სასამართლოს გარდაწყვეტილების მომლოდინეს! მას მიუსაჯეს სამი წელი ციხეში ყოფნა, მხოლოდ იმ ცნობების მიხედვით, რომელიც ყოვლად ძლიერ „ოხრანა“-ს თავის „შპიკების“ შემწეობით ქონდა შეკრებილი. მარა, ეს კიდევ ცოტაა. საზიზღარ თვითმპყრობელობის მხეცურმა პოლიციურმა ძალამ არ იკმარა მისთვის ეს დასჯა და 14 ივლისს მოწამლა და უდროოთ სამარე გაუთხარა ჩვენს ძვირფასს ამხანაგს! რასაკვირველია, ჩვენმა ამხანაგებმა, რომელნიც მთავრობის ასეთი მოქმედებით აღშფოთებული იყვნენ, მეტი ვერ მოითმინეს და დამარხვის დღეს დემონსტრაცია მოახდინეს. უცებ გაისმა „კამანდა“—„ესროლეთ„-ო! თოფები უტყვოთ ყოფილიყო დატენილი მარა, თავზარდაცემულ ხალხმა კუბო მაინც ხელიდან გავუშვა და თავშესაფარს ეძებდა ის. ეს „ინციდენტი“ ციხესთან მოხდა, სადაც ერთი ჩვენი ამხანაგთაგანი სიტყვას ამბობდა. ჩქარა დამშვიდებულმა ხალხმა სასაფლაოსკენ განაგრძო გზა. აქ ისევ პოლიცია გაერია და ნება არავის მისცა დაუვიწყარი ამხანაგისთვის ეთქვათ უკანასკნელ გამოსამშვიდობელი სიტყვა. მარა, ერთი ვიკითხოთ:—როდემდის განაგრძობს თავის ასეთ მხეცობას ეს სულთმობრძავი საზიზღარი თვითმპყრობელობა?!..

—

ტაშკენტი. ივნისის თვეში აქ დემონსტრაცია მოხდა, და კარგათაც ჩაიარა; კიდევ მოხდება. სალდათები რევოლიუციონურათ აღძრულ არიან; ისინი ხალხს ამხნევებენ ამ სიტყვებით!„ნუგეშინიანთ! ჩვენ თქვენ არ შეგეხებით. მუშებს შეუერთდით და გასწით ერთად წინ!“ 26-ივლისს აქ სალდათების დემონსტრაცია იქნება; დემონსტრაციაში მონაწილობის მისაღებათ 1200 სალდათი ემზადება. შეიძლება, დემონსტრაცია „მემკვიდრის“ დაბადების დღეს, ე. ი. 30 ივლისს მოხდეს...

როგორც ხედავთ, არეულობა აქ ჯარსაც მოედო, რაც ამ მოკლე დროს განმავლობაში სხვა-და-სხვა ჯგუფის სალდთების-მიერ არა-ერთხელ გამოცხადებულ„პროტესტებით“ გამოიხატა. ამბებს გაცნობებთ იმ „ხრონოლოგიურ“ წესრიგზე, როგორც მოხდა.

—17 მაისს ერთმა ბატარეიამ უარი განაცხადა თავის ზურგით აირაღები ეთრიათ; განზრახვა ქონდათ აფიცერი მოეკლათ.

—21 მაისს ხოდისენის ბატალ. სალდათებმა ქვაბებიდან გადმოღვარეს საჭმელი, როგორც უვარგისი.

—25 მაისს ესევე ჩაიდინეს თურქესტანის ბატალიონის სალდათებმა; შემდეგ სამზარეულო დაანგრიეს და 3 დღე სადილი არ მიუღიათ. პროტესტი განუცხადეს კამანდირს „სიმკაცრის“ წინააღმდეგ (იმისი წყალობით დისციპლინარულ ბატალიონში 8 კაცი სალდათი გაიგზავნა).

—26 მაისიდან თურქესტანის სამხედრო-სატელეგრაფო როტის სალდათებს 4 დღე ვახშამი არ მიუღიათ; ყრილობაზე სალდათები გაზეთ „რუს“-ს კითხულობდნენ,—სტატიას — სალდათების ყოფაცხოვრების შესახებ. „ურას“ იძახდენ, და „დუბინუშკა“ და „მარსელიეზას“ მღეროდნენ. ერთ დღეს, „პოვერკის“ შემდეგ, სამზარეულო დაანგრიეს, ქვაბები დაამტვრიეს, ტელეფონის მავთულები დასწყვიტეს და შემდეგი მოთხოვნები გამოიმუშავეს: 1. საჭმლის გაუმჯობესება, 2. „პურის“ ფულების მოცემა, რომელნც თებერვლის, მარტის და აპრილის თვეებში არ მიუღ ათ სალდათებს; 3. „ბარაკების“ აშენება; 4. პერანგების მოცემა 5. ქალაქში თავისუფლათ დათხოვნა; 6. ინჟენერ-კაპიტან დუვანოვისა და პორუჩიკი ხელიტინსკისაგან ზრდილობიანი მოქცევა და 7. „პოდოშვების“ მოცემა. ყველა ამ მოთხოვნების დაკმაყოფილებამდე მათ სამუშაოდ წასვლაზე უარი განაცხადეს.

—27 მაისს გენერალ კრივნიცკიმ ყველა მოთხოვნათა აღსრულება აღუთქვა. ერთი თვის შემდეგ ფელდფებელი სოლოდოვნიკოვი 4 სალდათით და 6 უნტერ-აფიცრებით გაიქცნენ. მათ პროკლამაციების გავრცელება ბრალდებოდათ.

—ივნისის პირველ რიცხვებში კასპიის იქითა მხრის 1-მა და 2 ბატალიონმა უფროსების დამორჩილებაზე უარი განაცხადეს. მათ „ვინტოვკები“ და „რევოლვერები„ წაართვეს.“ მე-5 როტია მე-3 ბატალიონის აფიცერის მოკვლა მოინდომეს

—1-ლი თურქესტანის მსროლელი (стрѣлковый) ბატალიონმა ქვაბებიდან საჭმელი გადაღვარეს; ყველა სალდათებმა საჭმლის მიღებაზე უარი განაცხადეს.

—სატელეგრაფო როტის 2 ბატალიონი „სტრელკებისა“ და „ასი“ ორენბურგის საყაზახო პოლკის კაზაკები 2 კვირის განმავლობაში ყარაულობდნენ. ხმებია,—რომ სატელეგრაფო როტაშიაც იგივე ამბები დატრიალდა, რაც ჯარის სხვა ნაწილებში. საზოგადოთ, ჯარის ყველა ნაწილებში ძლიერი არეულობა ეტყობა.

სალდათი.

საზღვარგარეთის ცხოვრებიდან.

იტალია. იტალიის რკინის გზები კერძო კამპანიებს ეკუთვნის, რომლებიც საშინლათ ყვლეფავენ მუშებსა და სხვა მოსამსახურეთ. რკინის გზის მოსამსახურეებისა და მუშების ხანგძლივმა და ფარულმა

*) ამ გარდაწყვეტილებას ვბეჭდავთ ამავე ნომერში (ნახე ვანყ: პარტიიდან). რედაქცია.

ბრძოლამ აიძულა ჯიოლიტის სამინისტრო — შეიტანა
პარლამენტში კანონ-პროექტი, რომ რკინის გზის ერ-
თი ნაწილი სახელმწიფოს გამოეყიდნა. მაგრამ ბურჟუა-
ზიის მინისტრმა, რომელიც რკინის-გზის აღელვებუ-
ლი პერსონალის დაშოშმინებას ლამობდა, შეეტანა
პროექტში § 71, რომლითაც გაფიცვას სისხლის სამა-
რთლის დანაშაულათ სცნობს და დამნაშავეს სჯის
6—12 თვემდის დაპატიმრებით ამითი მან სა-
ბაბი მისცა აღშფოთებულ პროლეტარიატს ბრძო-
ლისათვის მომზადებულიყო. 12 თებერვალს აგი-
ტაციონური კომიტეტის მოწოდების თანახმათ მუ-
შებმა და მოსამსახურეებმა ობსტრუქცია მოახდინეს
იტალიის ყველა გზებზე; მთავრობას არ შეეძლო
„აღედგინა წესრიგი,“ მიტომ, რომ ობსტრუქცია,
რომელმაც დეზორგანიზაცია შეიტანა რკინის გზის
მთელს მექანიზმში, მდგომარეობდა მხოლოთ...
რეგლამენტის სისწორით აღსრულებაში. ამ მო-
ძრაობამ, აუარებელი ზარალის გარდა, გამოიწვია
ჯიოლიტის სამინისტროს დაცემა; ობსტრუქციონე-
რები-კი, მთელი იტალიის პროლეტარიატის თანა-
გრძნობით გამაგრებულნი, ელოდნენ პარლამენტის
ამა თუ იმ გადაწყვეტილებას. ახალი მინისტრი ფო-
რტისის ეშმაკურმა ოინმა დიდხანს არ დაიგვიანა.
ფორტისმა ამოშალა § 71 ჯიოლიტის კანონ-პროექ-
ტიდან, მაგრამ მის მაგიერ შეიტანა ახალი § 17, რო-
მლითაც ის რკინის გზის ყველა მუშებს და მოხელეებს
სახელმწიფო მოსამსახურეებათ აცხადებდა და ამითი
მათ სისხლის სამართლის დებულების მეორე უფრო
სასტიკს სტატიას უქვემდებარებდა. ახალი მინისტ-
რის გულუბყვილობა სწორედ იმაში მდგომარეობდა,
რომ ის იტალიის პროლეტარიატს სთვლიდა გულუ-
ბრყვილოთ, და, მართლაც, ახალი ოინბაზი-მინისტრი
სულაც არ ზრუნავდა მუშების მდგომარეობაზე და
მთავრობისთვის უფრო მოხერხებულ კანონს ამზადე-
ბდა. თუ ციფრში ათი და ასი ათასი გაფიცული
მუშის ჩამწყვდევა შეუძლებელია, ჯარიმის დადება
500—3000 ფრანკამდე ხომ სულ ადვილია და მა-
სთან დამუქრება სამსახურიდან დათხოვის შესახებ!
რასაკვირველია, ამის შემდეგ აგიტაციონურ კომი-
ტეტს უკანასკნელი იარაღი-ღა დ რჩა და მანც გამო-
აცხადა გაფიცვა, რომელიც 5 დღე გაგრძელდა, მუშე-
ბისთვის მეტად ცუდ პირობებში. გარდა იმისა, რომ
ორგანიზაც. ვერ იყო საფუძვლიანათ მოწყობილი, გა-
ფიცულებს არ თანაუგრძნობდა დემოკრატიის ფართო
ნაწილები; პირიქით, შეშინებული ბურჟუაზია რადი-
კალებთან ერთად თხოულობდა პროლეტარიატის
შეუბრალებლად დასჯას. მთავრობამ, რასაკვირვე-
ლია, ისარგებლა საზოგადოებრივი აზრით და სამხე-
დრო ძალა იხმარა: მან დაანთხია გაფიცულების სისხ-
ლი დაბა ფოჯაში და შემდეგ მიიღო კანონ-პროექტი,
რომლითაც მუშები სახელმწიფო სამსახურში გადა-
იყვანა და მით, გაფიცვის უფლება სრულებით წა-
ართვა. ერთი სიტყვით, იტალიის მთავრობამ თავისი
სახელმწიფოში გადაიტანა რუსეთის წესები, რო-
მელსაც ასე გმირულათ ებრძვის რუსეთის პროლეტა-
რიატი. მაგრამ, ბურჟუაზიული მთავრობა ამით მაინც
ვერ იდღესასწაულებს გამარჯვებას. ვერავითარი ძალა
ვერ შეაჩერებს განვითარების ბუნებრივ მსვლელო-
ბას და იტალიის რევოლიუციონური ენერგია ააფე-
თქებს და მოსპობს ბურჟუაზიის-მიერ აღმართულ
კედლებს, თუ კი პროლეტარიატმა კანონიერების
ფარგალში გამოსავალი გზა ვერ იპოვა.

გერმანია. გერმანიის პროფესიონალურ კავშირთა
მეხუთე კრებამ, რომელსაც მაისის უკანასკნელ რიცხ-
ვებში ჰქონდათ სხდომები, ბრწყინვალეთ დაამტკიცა
პროფესიონალურ ორგანიზაციების ცხოველმყოფე-
ლობა. წევრების რაოდენობის არაჩვეულებრივი ზრდა
და კასის ანგარიში მჭერმეტყველათ ამტკიცებს პრო-
ლეტარიატისთვის პროფესიონალურ ორგანიზაციების
აუცილებლობასა და საჭიროებას. ცხადია, თუ რო-
გორ უსაფუძვლოა ეჭვიანობა პროფესიონალურ ორ-
განიზაციების სარგებლობის შესახებ. მაგრამ, უნდა
შევნიშნოთ, რომ კავშირების აყვავებას ამ შემთხ-
ვევაში არასასურველი მხარეც ახლდა. ამ უკანასკნე-
ლმა თავი იჩინა კრების მოქმედებაში, რომელსაც
წითელ ზოლივით გავლებული ქონდა ტენდენცია
(მიდრეკილება) „წმინდა ეკონომიკისაკენ.“ ამას შე-
დეგათ ის მოყვა, რომ კრების წევრები ორ მოპირ-
დაპირე ჯგუფათ გაიყო და ერთმანეთს შეეტაკა
სხვა-და-სხვა კითხვების-გამო. განსაკუთრებით, საინ-
ტერესოა დებატები მასსიურ პოლიტიკურ გაფიც-
ვების შესახებ, რომლის დიადი მნიშვნელობა საერ-
თაშორისო სოციალდემოკრატიის ყველა გამოჩენი-
ლმა მეთაურმა შეიგნო. რეფერენტათ ამ კითხვის
შესახებ გამოვიდა ვინმე ბემელბურგი, — თან-და-თა-
ნობითი განვითარებისა და „ფართო მასის თვით-
მოქმედების“ მომხრე. მისი სიტყვა, რომელმაც გა-
უთავებელი ტაშის-ცემა გამოიწვია, უსირცხვილო
დემაგოგიით იყო გაჟღენთილი. პოლიტიკური გა-
ფიცვის პროპაგანდა მან უაზრო და საშიშარ საქმედ
სცნო, ხოლო იმ მწერლებს-კი, რომელნიც იმით
სარგებლობას „წინდაუხედავათ“ ურჩევენ, თუნდაც
საყოველთაო არჩევის უფლების წართმევის დროს,
მან პროფანები და მუშათა კლასის მტრები უწოდა,
მხოლოთ იმიტომ, რომ მათ გადაჰყავთ მოძრაობა
თანდათანობითი განვითარების გზიდან, რომელიც
რეფერენტის აზრით, ვითომდა საბოლოო მიზნის
მიღწევის გარანტიასაც იძლევა. ერთი სიტყვით,
ზომიერება, კანონიერება და სიფრთხილე, — აი ოპო-
რტუნისტი ბემელბურგის შეხედულებით, — სოცია-
ლისტური წესწყობილების განხორციელების აუცი-
ლებელი პირობები. ასე თუ ისე, „ცეხოვიკებმა“
(ვიწრო პროფესიონალისტებმა) გაიმარჯვეს პოლი-
ტიკებზე; კრების უმრავლესობა იმავე აზრს ადგა,
როგორისაც იყო ეს ორატორი და უკანასკნელის
რეზოლიუცია თითქმის ერთხმად მიიღეს, მაგრამ,
„ცეხოვიკები“ კიდევ უფრო შორს წავიდნენ: მათ
უნდოდათ პროლეტარიატის საერთაშორისო დღე-
სასწაულისთვის მისი დემონსტრატიული ხასიათი
წაერთმიათ და ამისათვის წინადადება შემოიტანეს
პირველი მაისის დღესასწაულობა გადაედოთ მუ-
შაობიდან მოცლილ დროისათვის. მაგრამ, ამას წინა-
აღუდგა ბევრი ორატორი და რეზოლიუცია უკან
წაიღეს. აი, რა უაზრობამდის მიდის მუშათა მოძ-
რაობა, რომელიც სტიქიურათ ვითარდება და რევო-
ლიუციონური ს.-დემ. ხელმძღვანელობას მოკლებუ-
ლია! შეგნებული პროლეტარიატი, რომელსაც არ უნ-
და ოპორტიუნისტებისა და ბურჟუაზ. გავლენის ქვეშ
ყოფნა, ამ გაკვეთილებით ისარგებლებს *) და ეცდება
აუხვიოს მხოლოთ წმინდა ეკონომიურ ბრძოლის
გზას. ჩვენ ღრმათ დარწმუნებული ვართ, რომ პრო-

*) არც ჩვენ „მეუმცირესეებს“ აწყენთ, რომ ამ ფაქტს
ჩაუკვირდენ და წალმა-უკუღმა არ გაჰკიოდენ, — მუშათა მო-
ძრაობა თავისთავათაც სოციალისტურიაო. რედ.

ლეტარიატი მთელი კლასის ინტერესს მუშების ამა თუ იმ ჯგუფის ან წრის კერძო ლტოლვილს არ შესწირავს.

პარტიიდან.

ჩვენ მივიღეთ შემდეგი გარდაწყვეტილება და რეზოლიუციები.

ბაქოდან. გარდაწყვ. სამედიატორო სასამართლ. მირზაბეკიანცის ფაბრიკის მუშები — ბაგდასარ ნერსესიანი და ოჰანეზა დავთიანი ქალაქის რაიონული კომიტეტს ბრალსა სდებენ იმაში, რომ ამ უკანასკნელმა მის-მიერ 11 ივლისს № 89-თ გამოცემულ მოწოდებაში სახელი გაუტეხა მათ. სასამართლომ დაადგინა: 1) ნერსესიანის და დავთიანზე ბრალის დადება იმის შესახებ, რომ ისინი ჯაშუშ-პროვოკატორები და „თავისი-გამყიდველები“ არიან — უსაფუძვლოა და უსამართლო; 2) მოწოდების საზოგადო კილო და მასში ხმარებული საგინებელი სიტყვები გადაჭარბებული და უადგილოა 3) თუმცალა ზემოთ-მოხსენებულ მოწოდებაში წინათ-განძრახული პროვოკაციის ნიშანწყალიც არ არის, მარა რაიონულ კომიტეტმა მაინც დაარღვია კონსპირაცია და შეუფერებლათ მოიქცა ნ-ს და დ.-ს, როგორც დროშაკისტების პარტიის ცრუ ან ნამდვილ წევრთ; 4) რაიონულ კომიტეტს მოწოდებაში მოხსენებული ბრალდება-კი არ შეუთხზავს, არამედ ამ შემთხვევაში ის დაემყარა ცნობებზე, რომელიც (თანახმად რაიონული კომიტეტის წარმომადგენელის ჩვენებისა) შეკრებილიყო მირზაბეკიანცის ფაბრიკის მუშათა ყრილობაზე, სადაც 30 კაცი დესწრო; 5) ნ-ის შესახებ ამ 30 მუშებს უფლება ქონდათ მისს ჯაშუშობა-პროვოკატორობაში ეჭვი აეღოთ, ამ სიტყვის იმ მნიშვნელობით, რომ ის ფაბრიკის ადმინისტრაციის „ენატანია“ იყო; 6) იმავე 30 მუშებს უფლება ქონდათ ეცნოთ ნ. და დ. მთელი მუშათა საქმის მავნებელ და საშიშარ კაცებად, მუშათა ინტერესების გამცემლებად, დეზორგანიზატორებად მუშათა შეერთებულ ბრძოლისა ხაზინებთან; 7) რაიონული კომიტეტის მოთხოვნა, რომ ნ. და დ. განდევნილ იქმნეს, როგორც მუშათა საქმის მავნე პირნი „რომელნიც მუშებს ხელს უშლიან იცხოვრონ და იბრძოლონ“ საფუძვლიანია *).

იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტისაგან.

რაჭა-ლეჩხუმის სარაიონო ორგანიზაციის რეზოლიუცია.

ორგანიზაციის სხდომაზე ერთმა მისმა წევრმა წინადადება შემოიტანა, რომ ორგანიზაციამ თავისი აზრი გამოსთქვას „უმცირესობის“ ორგანოს „სოციალდემოკრატის“ მე № 3-ში (ქართულათ გვ. 19) მოთავსებული რომელიღაც რაჭა-ლეჩხუმის სოციალდემოკრატიულ ორგანიზაციის რეზოლიუციის შესახებ. ორგანიზაციამ, რომელსაც დაესწრო 8 წევრი, წინადადება განიხილა და დაადგინა:

1) ეცნობოს იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტს, რომ არც რაჭასა და არც ლეჩხუმში არ არის სხვა მეორე ორგანიზაცია, გარდა ჩვენისა; 2) ბეჭდვით-სიტყვით გამოეცხადოს ჩვენი გულითწყრომა მოხსენებულ რეზოლიუციის უცნობ ავტორს იმისათვის, რომ მან ასე წარბშეუხრელათ მიითვისა ორგანიზაციის „ტიტული“ და ამ (ფიქტიურ) ორგანიზაციის ფირმის ქვეშ ამოფარებული ბოროტათ სარგებლობს „სოციალდემოკრატის“ რედაქციის ნდობით: 3) რჩევა მიეცეს „სოციალდემოკრატის“ რედაქციას, — არ ენდოს მაგისთანა „ვინგინდარას“ და ორგანოში მაგგვარ „შეთხზულ“ რეზოლიუციებს ნუ ბეჭდავს: 4) წინადადება მიეცეს იმავე „სოციალდემოკრატის“ რედაქციას — მახლობელ ნომერში ეს ჩვენი დადგენილება მოათავსოს *).

ხიდისთავი (გურია).

18 ამხანაგის რეზოლიუცია.

მივიღეთ-რა მხედველობაში, რომ გაზეთ „სოც.-დემოკრატმა“ კაუცკის წერილის ზოგიერთი ადგილების გადმობეჭდვით (იხ. „სოც.-დემ.“ № 4) სრულიად დაამახინჯა მთელი წერილის შინაარსი, — ჩვენ, თვრამეტი ამხანაგი, წინადადებას ვაძლევთ „პროლეტარიატის ბრძოლის“ რედაქციას ახლო ხანებში გამოსცეს მთელი წერილი კაუცკისა (თუ შეიძლება ახსნა-გარკვევით) და მით აღადგინოს მისი ნამდვილი შინაარსი.

ჩოხატაური (გურია).

50 სოფლის მუშების რეზოლიუცია.

ჩვენ ჩოხატაურის სოფლის მუშებმა, რიცხვით 50, მოვისმინეთ-რა კამათი უმრავლესობა „უმცირესობის“ შორის, დავრწმუნდით, რომ „უმრავლესობა“ უფრო სისწორით იცავს პროლეტარიატის ინტერესებს, ვინემ „უმცირესობა“. ამიტომ გადავჭერით ჩამოვშორდეთ „უმცირესობის“ ორგანიზაციას და ცალკე ორგანიზაციათ მოვეწყოთ.

ხიდისთავი (გურია).

ერთ კრებაზე 40-მდე სოფლელმა ახალგაზრდობამ მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: „ჩვენ ხიდისთავის სოფლის მცხოვრებლებმა მოვისმინეთ რამდენჯერმე კამათი „უმრავლესობასა“ და „უმცირესობაზე“ და ვსცანით, რომ სიმართლე „უმრავლესობისკენაა“, ამიტომ კავშირს ვსწყვეტთ „უმცირესობის“ ორგანიზაციასთან და ცალკე ორგანიზაციათ ვეწყობით“.

ჩვენ გვთხოვენ ამხანაგები გამოვაცხადოთ: იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტის ხელშეწყობით, ივლისის პირველ რიცხვებში ქუთაისის ციხიდან გაიქცნენ ამხანაგები თელია და ჩხაიძე.

განცხადება „პროლ. ბრძ.“ რედ.

ჩვენ მივიღეთ თფილისის „მეუმცირესეთაგან“, „რომელთაც მე-III კრების შესახებ მოხსენება მოისმინეს“, წერილი. ამ №-ში მისი მოთავსება ვერ მოვასწარით.

შეცდომის გასწორება.

„პროლეტარიატის ბრძოლის № 9-ში გვერდი მე-5, სვეტი მე-2, ქვემოდან მე-7 პწკარში დაბეჭდილია: „სამიმეოთხედი, — უნდა იყოს „ორი მესამედი“ მე-7 გვერდი, მე-2 სვეტი, ზემოდან მე-14 პწკ. დაბეჭდილია: „თითქმის 20“, — უნდა იყოს „თითქმის 21“. ამავე გვ., მე-2 სვ., ქვემოდან მე-12 პწკ. გამორჩენილია ერთი კომიტეტი, — დაბეჭდილია: „სარატოვი, რიგა“, — უნდა იყოს „სარატოვი, სამარა, რიგა“, მე-10 გვ., პირ. სვეტი, ქვემ. მე-15 პწკ. დაბეჭდილია: „რაკი პირველში მონაწილეობის“, — უნდა იყოს: „რაკი მეორეში მონაწილეობის“. იმავე სვეტში, ქვემოდან მე-13 პწკარში დაბეჭდილია: „რომ მეორესაც შორის“ უნდა იყოს: „რომ პირველსაც შორის“

*) ნახე კორესპოდ. ბაქოდან ამავე №-ში. რედ.

*) აი, რა ნაირათ აგროვებს „წევრთ“, „პარტიაში“ და „რაგვარ“ ახალ „ორგანიზაციებს“ აჩენს ჩვენი „უმცირესობა“! იბჭონ ამაზე თვით დაინტერესებულმა მკითხველებმა! ჩვენგან-კი კომენტარიები მეტია! რედ.